MES 7 21 0000989607

28/09/2021

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი
სხდომის თარიღი: 14.09.2021
სხდომის დაწყების დრო: 14:15 სთ
სხდომის დასრულების დრო: 20:27სთ
საბჭოს თავმჯდომარე: ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანი;
საბჭოს მდივანი: მარიამ შენგელია;

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" (შემდეგში-აკრედიტაციის დებულება) 33-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.
საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

1. **ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანი -** სსიპ ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის მენეჯმენტის სკოლის ხელმძღვანელი - საბჭოს თავმჯდომარე;
2. **ნინო იმნაძე -** სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის დეკანი, ამავე ფაკულტეტის შენობა-ნაგებობის არქიტექტურის მიმართულების სრული პროფესორი - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
3. **მარიამ შენგელია -** სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი - საბჭოს მდივანი;
4. **გაიანე სიმონია -** სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სამედიცინო განათლების, კვლევისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის ხელმძღვანელი, გერიატრიის დეპარტამენტის პროფესორი;
5. **ელენე ჟურავლოვა -** სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
6. **ნინო ჭალაგანიძე** - შპს "კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის" მულტიმედია ცენტრის ხელმძღვანელი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;
7. **ანზორ ბერიძე -** სსიპ - ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი;
8. **გაიოზ ფარცხალაძე -** სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტექნოლოგიური ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;

9. **ელიზბარ ელიზბარაშვილი** - ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის საერთო-საუნივერსიტეტო ლაბორატორიული ცენტრის დირექტორი, პროფესორი;
10. **გიორგი ღაღანიძე** - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
11. **დავით კაპანაძე** - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საგამოცდო ცენტრის უფროსი, პროფესორი;
12. **დიანა მჭედლიშვილი** - შპს "კავკასიის უნივერსიტეტის" ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის დირექტორი;
13. **ეკატერინე ნაცვლიშვილი** - შპს "ევროპის უნივერსიტეტის" ასოცირებული პროფესორი;
14. **თამარ ჩხეიძე** - სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის ასოცირებული პროფესორი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
15. **თეონა მატარაძე** - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი;
16. **მაკა კაჭარავა** - სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ასოცირებული პროფესორი;

სხდომაზე დამსწრე პირები
სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები

N	სახელი, გვარი	სტატუსი
1	თამარ აფრასიძე	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი
2	სანდრო ტაბატაძე	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
3	სოფიკო ქურასბედიანი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები

N	სახელი, გვარი	საგანმანათლებლოდაწესებულებისდასახელება	სტატუსი	საკითხი
1.	არჩილ მაღალაშვილი		პროფესორი	I
2.	ზურაბ ჯავახიშვილი		პროფესორი	I
3.	მიხეილ ელაშვილი		პროფესორი	I
4.	თეა გოდოლაძე		პროფესორი	I

5	ლაშა სუხიშვილი	სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	მკვლევარი	I
6	დავით თარხნიშვილი		დეკანი	I
7	ინო ჟვანია		ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	I
8.	ნესტან ციციშვილი	ა(ა)იპ - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი ჯიპა	დეკანი	III-IV
9.	მანანა გაბაშვილი		დეკანის მოადგილე	III-IV
10.	ხათუნა ბერაია		სოციალურ მეცნიერებათა სკოლის ხარისხის მართვის მენეჯერი	III-IV
11.	თედო სანიკიძე		ადმინისტრაციული მენეჯერი	III-IV
12.	მარიამ მურვანიძე		პროგრამის კოორდინატორი	III-IV
13.	ანა ჩუთლაშვილი		პროგრამის კოორდინატორი	III-IV
14.	თინათინ ჩხეიძე		ასოცირებული პროფესორი	III
15.	კონსტანტინე ერისთავი		პროფესორი	III
16.	ბაკურ კვაშილავა		დეკანი	IV
17.	თორნიკე შარაშენიძე		პროფესორი	IV
18.	გიორგი ჩადუნელი		პროგრამის კოორდინატორი	IV
19.	გიორგი კობერიძე		ასისტენტ პროფესორი	IV
20.	ზვიად ბარქაია		ასისტენტ პროფესორი	IV
21.	ირინა ბაქრაძე		სამართლისა და პოლიტიკის სკოლის ხარისხის მართვის მენეჯერი	IV
22.	დავით წასიძე		უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი	III-IV
23.	ელენე ბერიძე		ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მენეჯერი	III-IV
24.	გიორგი ტომარაძე		ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი	III-IV
25	ვლადიმერ ღლონტი	სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი	II
26	ლელა თურმანიძე		ასოცირებული პროფესორი, ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის დეკანი	II
27	ნანი მამულაძე		ასოცირებული პროფესორი, ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის	II

			მოვალეობის შემსრულებელი	
28	ვლადიმერ ბალაძე		პროფესორი, პროგრამის ხელმძღვანელი	II
29	დალი მახარაძე		ასოცირებული პროფესორი, პროგრამის ხელმძღვანელი	II
	ომარი გივრაძე		ასოცირებული პროფესორი, პროგრამის ხელმძღვანელი	II

აკრედიტაციის ექსპერტები

N	**სახელი, გვარი**	**ინფორმაციაელექტრონულისაშუალებითმონაწილეობისშესახებ**	**საკითხი**
1	შალვა კელეპტრიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	I
2	მალხაზ ღვინჯილია	(ჩაერთო „ზუმით“)	I
3	გიორგი ბრეგვაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	I
4	ნინო ქიმერიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	I
5	ნიკა გიგაური	(ჩაერთო „ზუმით“)	I-II-III-IV
6	გიორგი დალაქიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	II
7	ნინო ჯოჯუა	(ჩაერთო „ზუმით“)	II
8	მამუკა ნადარეიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	II-III
9	ქრისტინე ჩიხლაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	III
10	ირაკლი მანველიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	III
11	ემზარ ჯგერენაია	(ჩაერთო „ზუმით“)	III
12	ნინო ფავლენიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	IV
13	ივანნა მაჩიტიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	IV
14	თამთა ცხოვრებაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	IV

აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანმა.

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27^5-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს სხდომა დაიწყო: 14**:15** საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. ა(ა)იპ - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის - ჯიპა "სოციალური მეცნიერებების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

2. ა(ა)იპ - ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის "საერთაშორისო ურთიერთობების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის "დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის "მათემატიკის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით

· დიახ

დამტკიცებული დღის წესრიგი:

1. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის "დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის "მათემატიკის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. ა(ა)იპ - ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის "სოციალური მეცნიერებების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4. ა(ა)იპ - ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის "საერთაშორისო ურთიერთობების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

პირველი საკითხი: სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის "დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	**ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებები
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	373, 25 ნოემბერი 2011
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებები (გეოლოგია, გეოფიზიკა, გეოგრაფია და GIS ტექნოლოგიები)
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მეშვიდე დონე
9	კვალიფიკაციის დასახელება	დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებების მაგისტრი
10		-

	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0532 Earth Sciences
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120 ECTS
14	განხორციელების ადგილი	გ. წერეთლის N3, 0162 თბილისი, საქართველო ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის H, G, T და E კორპუსები
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ დიახ
თვითაცილება განაცხადა ელენე ჟურავლოვამ. თვითაცილების საფუძველს წარმოადგენდა შრომითი ხელშეკრულების არსებობა დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, შალვა კელაპტრიშვილმა აღნიშნა, რომ პროგრამა იყო მოქნილი მრავალფეროვანი დამსაქმებლებებით, რისი საშუალებითაც შესაძლებელი იყო ცვლილებების უმტკინეულოდ გატარება.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:

1. „სამაგისტრო ნაშრომში“ დაკორექტირდეს დაშვების წინაპირობები, ამოღებულ იქნას სასწავლო კურსი „საწარმოო პრაქტიკა“.
2. სასწავლო კურსებში შედეგები ისე უნდა გაიწეროს, რომ შესაძლებელი იყოს აღწერილ მოქმედებაზე დაკვირვება, გაზომვა;

3. რეკომენდებულია დამსაქმებლებთან/პარტნიორებთან ისეთი მემორანდუმების და შეთანხმებების გაფორმება/განახლება, რომელიც გაითვალისწინებს საწარმოო პრაქტიკაზე სტუდენტთა სავარაუდო რაოდენობას და ჩასატარებელი სამუშაოების ხანგრძლივობას;
4. რეკომენდებულია, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვარი №3 ბრძანების მე-4 მუხლის მე-4 პუნქტის და 11 მუხლის „მ“ პუნქტის თანახმად, ყველა სასწავლო კურსის შეფასების მეთოდი/მეთოდები მოიცავდეს გაზომვად კრიტერიუმებსა და დეტალურ რუბრიკებს, რათა სტუდენტის შეფასების პროცესში მაქსიმალურად იყოს დაცული ობიექტურობა, სანდოობა, ვალიდურობა და გამჭვირვალობა.

ექსპერტთა თავმჯდომარემ ასევე განმარტა, რომ ექსპერტთა ჯგუფის წინასწარ დასკვნის შემდგომ, ინსტიტუციამ გამოასწორა გარკვეული ხარვეზები, თუმცა ექსპერტთა ჯგუფმა, საბოლოო დასკვნაში მაინც დატოვა რეკომენდაციები, რადგან ექსპერტის განმარტებით, აღნიშნული საკითხების გადაწყვეტა წარმოადგენდა აკრედიტაციის საბჭოს კომპეტენციას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ნინო ჟვანიამ განმარტა, რომ ინსტიტუცია ითვალისწინებდა დასკვნაში დაფიქსირებული რჩევებისა და რეკომენდაციების ნაწილს. მისი თქმით, გამოსწორდა დაფიქსირებული ტექნიკური ხარვეზები. რეკომენდაციასთან დაკავშირებით, რომელიც შეეხებოდა სწავლის შედეგებს. დაწესებულების წარმომადგენელმა, ბრძანა, რომ ინსტიტუციის წარმომადგენლების მოსაზრებით სწავლის შედეგების გაწერისას მნიშვნელოვანი იყო შედეგები ყოფილიყო შეფასებადი და შეფასების სისტემა გაზომვადი. ხოლო იმ შემთხვევაში თუ ეს იქნებოდა მოცემული სილაბუსში, შედეგები იქნებოდა გაზოვადი, ფორმულირების (ზმნების, დროის და ა.შ) მიუხედავად. რაც, დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით იყო საერთაშორისო პრაქტიკა, აქედან გამომდინარე, ინსტიტუცია არ ეთანხმებოდა აღნიშნულ რეკომენდაციას. „საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვარი №3 ბრძანების მე-4 მუხლის მე-4 პუნქტის და 11 მუხლის „მ“ პუნქტის თანახმად, ყველა სასწავლო კურსის შეფასების მეთოდი/მეთოდები მოიცავდეს გაზომვად კრიტერიუმებსა და დეტალურ რუბრიკებს, რათა სტუდენტის შეფასების პროცესში მაქსიმალურად იყოს დაცული ობიექტურობა, სანდოობა, ვალიდურობა და გამჭვირვალობა.“ რეკომენდაციასთან დაკავშირებით, დაწესებულების წარმომადგენელმა, განმარტა, რომ №3 ბრძანება არ ითვალისწინებდა რუბრიკების ჩადებას შეფასების სისტემაში. ხოლო ყველა პროგრამა და ყველა ლექტორი შეფასების სისტემას ააგებდა კურსის ფორმატის და პრიორიტეტის გათვალისწინებით. ინსტიტუციის მიზანი იყო შეფასების სისტემის ობიექტრუობის და გამჭვირვალეობის შეფასება და ასევე თუ რამდენად იყო მკაფიოდ განსაზღვრული მოთხოვნები. ის სილაბუსები, სადაც მოცმული იყო შეფასების სისტემები, მოცემული იყო სკალები. დაწესებულების წარმომადგენელმა, ასევე ხაზი გაუსვა, რომ №3 ბრძანება და აკრედიტაციის სტანდარატი არ ითხოვდა კონკრეტულად როგორ ან რა სისტემა უნდა ყოფილიყო გამოყენებეული სტუდენტის შეფასებისთვის. აქედან გამომდინარე, დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ინსტიტუცია არ ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფის აღნიშნულ რეკომენდიაციას. დაწესებულების წარმომადგენელმა, ასევე აღნიშნა, რომ შეფასების გამჭვირვალობისთვის, ინსტიტუცია ატარებდა გამოკითხვებს ყოველ სემესტრში, იყო თუ არა გასაგები და გამჭვირვალე გამოყენებული შეფასების სისტემა, იცოდენენ თუ არა კრიტერიუმების შესახებ.

პროგრამის ხელმძღვანელმა, არჩილ მაღალაშვილმა, მემორანდუმებთან დაკავშირებულ რეკომენდაციაზე აღნიშნა, რომ ინსტიტუციას მემორანდუმების ნაწილი დადებული ჰქონდა უვადოდ, ხოლო ყოველ კონკრეტულ შემთვევაში მათ ექნებოდათ პარტნიორებთან ურთიერთობა, იმასთან დაკავშირებით თუ რამდენ სტუდენტს მიიღებენ. გარდა ამისა, პროგრამის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ მათ არ აქვთ არავითარი პრობლემა პარტნიორებთან

ურთიერთობის კუთხით და ამიტომ, პარტნიორებისათვის დაძალება, რომ კონკრეტული რიცხვი დაასახელონ, არ იქნება უპრიანი. არ ყოფილა შემთხვევა, რომ პარტნიორს არ მიეღო დაწესებულების სტუდენტი. გარდა ამისა, დაწესებულებას აქვს საშუალება, რომ თავად გაატაროს სტუდენტებს პრაქტიკა და ამ თვალსაზრისით, მსგავსი ჩანაწერის შეტანა არ არის პრინციპული და თუ ამის საჭიროება იქნება დაწესებულება შეძლებს ამ საკითხის მარტივად მოგვარებას. როგორც ცნობილია, მემორანდუმის დოკუმენტი არ ითვალისწინებს რაიმე ვალდებულებების აღებას, არამედ არის ნებაყოფლობითი შეთანხმება თანამშრომლობასთან დაკავშირებით.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრმა, გაიოზ ფარცხალაძემ შეკითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს და აღნიშნა, რომ ბევრი სასწავლო კურსი, რომელიც მის მიერ იქნა გადახედილი, მაგალითად: მიწისძვრის ფიზიკა და ტალღური სეისმოლოგია, დედამიწის გეოლოგიური ისტორია, ვულკანოლოგია, ბუნებრივი საფრთხეების რისკების შეფასება და ასე შემდეგ, სხვა სასწავლო კურსებში, ძირითად ლიტერატურაში არის მხოლოდ ინგლისურ ენოვანი ლიტერატურა და ხომ არ გაუჭირდება სტუდენტს მხოლოდ ინგლისური ლიტერატურიდან სწავლა, რადგან მან თან უნდა ისწავლოს და თან უნდა თარგმნოს. რითი არის ეს გამოწვეული.

საბჭოს წევრმა, ელიზბარ ელიზბარაშვილმა, სამაგისტრო ნაშრომის გაფორმების წესთან დაკავშირებით, შეკითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებსა და ექსპერტებს. საბჭოს წევრმა აღშნიშნა, რომ ექსპერტებს, ერთ-ერთ რეკომენდაციაში ეწერათ, რომ სასურველი იყო თუ სამაგისტრო ნაშრომების გაფორმებას უფრო მეტ ყურადღებას დაუთმობენო. ექსპერტების მიმართ შეკითხვა გამომდინარეობს იქიდან, რომ შესაძლოა ეს დარგის სპეციფიკა იყოს და აქედან გამომდინარე ეს ასეც უნდა იყოს, თუმცა საბჭოს წევრი მიიჩნევს, რომ სამაგისტრო ნაშრომები არ ფორმდება ერთიანი სტანდარტით. მაგალითად აღნიშნავს, რომ გვერდების რაოდენობა ძალიან განსხვავდება სხვადასხვა სამაგისტრო ნაშრომში. სამაგისტრო ნაშრომი, რომელიც სამეცნიერო სიახლის მატარებელია, 30 გვერდზე უნდა იყოს გაფორმებული. საბჭოს წევრს მაგალითისათვის მოჰყავს ერთ-ერთი ნაშრომი, რომელიც ნინოწმინდის ისტორიულ ძეგლებს ეხება, რომელიც წარმოადგენს კომპიუტერის საშუალებით „3D“ მოდელის აგებას და საბჭოს წევრისთვის საინტერესოა, რა არის სამეცნიერო სიახლის მატარებელი ამ შემთხვევაში.

საბჭოს წევრმა დასკვნების გაფორმებასთან დაკავშირებით დასვა შეკითხვა, თუ არსებობს დასკვნების გაფორმების ინსტიტუციური, ერთიანი პრინციპი. მან აღნიშნა, რომ როგორც მისთვის არის ცნობილი დასკვნები უნდა იწერებოდეს პოსტულატების დონეზე, რა იქნა მიგნებული, რა არის შედეგები, თუმცა წარმოდგენილ ნაშრომებში უმეტესწილად არის ნარატივი, მათ შორის ისეთიც, ლიტერატურის წყაროსაც რომ შეიცავს, რაც ბევრ ჟურნალში კატეგორიულად არის აკრძალული, აბსტრაქცია დასკვნაში, კიდევ დამატებითი ციტირება. საბჭოს წევრი აღნიშნავს, რომ გარდა ამისა, ნაშრომებში ვხვდებით ტექნიკური გაფორმების ძალიან უხეშ ხარვეზებს. მის გაფორმებას ძალიან სკურპულოზური დაცვა სჭირდება, დაწყებული შიფტის ზომიდან, თავების დანომვრას, გადატანას. მაგალითად, ერთ-ერთ ნაშრომში სარჩევი იწყება შუა გვერდზე, ტექსტის დიდ ნაწილში ფონი ისევ ნაცრისფერია დარჩენილი. რა ყურადღება ეთმობა ასეთი ტიპის ნაშრომების მონიტორინგს, შეფასებას სანამ ნაშრომი გავა დაცვაზე?

საბჭოს წევრმა, გიორგი ღაღანიძემ ისაუბრა ბიბლიოგრაფიასთან დაკავშირებით, აღნიშნა, რომ ბიბლიოგრაფია ზოგიერთ შემთხვევაში ძალიან მოკლეა და შედგება სულ 5-6, 7-8 წყაროსაგან. ნინოწმინდის ისტორიული ძეგლების შესახებ შესრულებულ სამაგისტრო ნაშრომთან დაკავშირებით კი აღნიშნა, რომ გასაგებია, ვახტანგ ბერიძის და ჩუბინაშვილის ნამუშევრები არის კლასიკა, მაგრამ როგორ მიესადაგება ეს ლიტერატურა აღნიშნულ ნაშრომს, რადგან ნაშრომი ხელოვნებათმცოდნეობის დარგში არ იწერებოდა.

საბჭოს წევრის შემდეგი შეკითხვა შეეხებოდა საკითხს, თუ რამდენად რელევანტური იყო ამ სპეციალობის 30 სტუდენტიდან 5 მათგანის და შექმნილი ფოკუს ჯგუფებიდან 5 დამსაქმებლის გამოკითხვა. რამდენად იძლევა აღნიშნული იმის საშუალებას, რომ სწორად ჩამოყალიბდეს არსებული შორომის ბაზრის ტენტენციები.
რაც შეეხება ბიუჯეტს, საბჭოს წევრმა აღნიშნა, რომ ბიუჯეტი 40 სტუდენტზეა დათვლილი, მთელი ხარჯი უტოლდება შემოსავალს, ანუ ორმა მაგისტრმა რომ დროებით შეაჩეროს სწავლა სად არის უსაფრთხოების ბალიში ჩადებული, რადგან 90 ათასი არის შემოსავალი და ბიუჯეტის იმავე თანხაზეა გაწერილი, სადაც არ ჩანს სამაგისტრო კვლევების დაფინანსება. ერთ-ერთ მუხლში სიტყვა „კვლევები“ ფიგურირებს, მაგრამ მითითებულია 18 200 ლარის და რამდენად რელევანტური თანხაა ეს და რამდენად არის შესაძლებელი სამაგისტრო კვლევების დაფინასნება.
საბჭოს წევრმა, დიანა მჭედლიშვილმა შეკითხვით მიმართა ექსპერტთა ჯგუფს, კერძოდ ინგლისური ენის დონესთან დაკავშირებით მიღების წინა პირობაში. ექსპერტთა ჯგუფს რჩევის სახით შეთავაზებული ჰქონდა „B1+“ დონე, რასაც ინსტიტუციაც დათანხმდა, რაც დოკუმენტებშიც არის ასახული. რატომ არის შეთავაზებული „B1+“ დონე, დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე საკმარისია თუ არა ეს დონე იმისათვის, რომ სტუდენტმა დაძლიოს და სამაგისტრო ნაშრომზე იმუშაოს.
დაწესებულების წარმომადგენელემა, არჩილ მაღალაშვილმა უპასუხა საბჭოს წევრთა შეკითხვას და განმარტა, ინგლისურ ლიტერატურასთან დაკავშირებით დაწესებულებას პრობლემები არ აქვს, რადგან სტუდენტები, რომლებიც დაწესებულებაში სწავლით არიან დაინტერესებული, ინგლისურ ენას ფლობენ და შეუძლიათ ლიტერატურის გაცნობა. გარდა ამისა დაწესებულებას მომზადებული აქვს „რიდერები“, ასევე არსებობს ქართულენოვანი ლიტერატურა, რომელიც ამას ავსებს. ერთ-ერთი მთავარი გახლავთ თავად ლექტორების მიერ მომზადებული სალექციო მასალები, რომლების ქართულენოვანია და ავსებს იმ ქართულენოვან „დანაკლისს“ რომელიც არის. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ დაწესებულება ინტენსიურად მუშაობს სახელმძღვანელოების შექმნაზე, თარგმნაზე და „რიდერების“ მომზადებაზე. მისი მოსაზრებით, ძალიან კარგია ის რომ მათ სტუდენტები ეცნობიან მოწინავე ინგლისურენოვან ლიტერატურას და ამ ბაზაზე იძენენ ცოდნას.
სამაგისტრო ნაშრომების გაფორმების წესთან დაკავშირებით დასმულ შეკითხვაზე დაწესებულების წარმომადგნელმა უპასუხა, რომ დაწესებულებას აქვს ერთიანი წესი ნაშრომების გაფორმების, რომელიც ითვალისწინებს ზოგად პრინციპებს, როგორიც არის ფორმატირებასთან, ციტირების სტილთან დაკავშირებული პრინციპები. აღნიშნული მოთხოვნები დებს დაწესებულების ვებ-გვერდზე. დაწესებულებას სავალდებულო კურსის სახით აქვს აკადემიური წერა. ამ თვალსაზრისით, დაწესებულების წარმომადგენელი თვლის, რომ ეს პრობლემები დაფარული უნდა იყოს და არის. დაწესებულების წარმომადგენელმა, ნინო ჟვანიამ დაამატა და აღნიშნა, რომ დაწესებულებამ განაახლა სამაგისტრო ნაშრომის კონცეფცია, რომელიც წარმოდგენილი არის რეაკრედიტებული პროგრამის დოკუმენტებში და იქ უკვე დეტალურად არის გაწერილი ყველა მოთხოვნა, რომელიც დაკავშირებულია სტილთან და ასევე ჩაიდო მექანიზმი, ნაშრომი ისე არ გავიდეს დაცვაზე, თუ კი არ ექნება ხელმოწერა და თანხმობა ხელმძღვანელის, რომ ნაშრომი არის მზად დაცვისთვის. ერთ-ერთი პუნქტი, რასაც ადასტურებს ხელმძღვანელი, არის ნაშრომის შესაბამისობა სტილთან. აქედან გამომდინარე, დაწესებულების წარმომადგენელი ფიქრობს, რომ ეს მექანიზმი დაეხმარება მათ, უფრო სისტემურად მიუდგნენ გაფორმების საკითხს.
დაწესებულების წარმომადგენელმა, არჩილ მაღალაშვილმა დაამატა და აღნიშნა, რომ დაწესებულებას დასკვნებთან დაკავშირებით არ აქვს მაინცდამაინც მკაცრი მოთხოვნები, რადგან თემატიკა საკმაოდ დიდია და სხვადასხვა კვლევებს განსხვავებული ტიპის დასკვნები ახლავს თან, ამიტომაც აძლევს დაწესებულება სტუდენტებს გარკვეულ თავისუფლებას, რა თქმა უნდა აკადემიური სტილის ფარგლებში.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ლაშა სუხიშვილმა დაამატა, რომ ერთ-ერთ ნაშრომში შვიდი ლიტერატურული წყაროა გამოყენებული. მან განმარტა, რომ არც ილიას უნივერსიტეტის აკადემიური სტილით და არც საერთაშორისო პუბლიკაციების გამოქვეყნებისას არ არის რაიმე მინიმალური ზღვარი დადგენილი, თუ რამდენი წყარო უნდა იყოს გამოყენებული, იმისთვის რომ კარგ ნაშრომად ჩაითვალოს. მთავარი ხომ ის არის, თუ რამდენად ჯეროვნად ასახავს გამოყენებული წყაროების რაოდენობა მეთოდოლოგიის, პრაქტიკის, განხილვის თუ სხვადასხვა ტექნოლოგიების საკითხს. ყველა ნაშრომზე დეტალურად უნდა ჩავეძიოთ საკმარისია, თუ არა შეშრულებული კონკრეტული სამუშაოსთვის ის 4 თუ 8 წყარო, რომელიც არის მოცემული. თუ არ არის საკმარისი ეს პრობლემაა. რა თქმა უნდა უკეთესია 50 და 100 ლიტერატურული წყაროს არსებობა, მაგრამ სტუდენტს სულ 3 თვე აქვს იმისთვის, რომ თან უნიკალური კვლევა შეასრულოს, თან ლიტერატურას გაეცნოს. სტუდენტმა საქმეც უნდა შეასრულოს, ლიტერატურასაც უნდა გაეცნოს, რათა გაამართლოს თავისი მეთოდოლოგია, ამიტომ ეს ოქროს შუალედი არის ხოლმე ნაშრომებში დაცული.

საბჭოს წევრმა, ელიზბარ ელიზბარაშვილმა დაზუსტების სახით განმარტა, რომ მართალია სამაგისტრო ნაშრომში კვლევა უნდ აიყოს უნიკალური, ამისათვის კი აუცილებლად ასაჭიროა ბოლო პერიოდის სამეცნიერო ლიტერატურის ციტირება, იმისათვის, რომ დადგინდეს, ეს არის სიახლის მატარებელი ნაშრომი. ფუნდამენტურ კვლევას მაგისტრისაგან არავინ არ ელოდება, მით უმეტეს მოკლე პერიოდში, მაგრამ ნაშრომი სიახლის მატარებელი უნდა იყოს. როდეცას გამოყენებულია 6 ლიტერატურა და ყველა სახელმძღვანელოა, წიგნი და არა სამეცნიერო ლიტერატურა, ეს აჩენს კითხვას და ეს ქონდათ საბჭოს წევრებს მხედველობაში და რაოდენობა რომ არ არის განმსაზღვრელი ეს გასაგებია და არ არის სადაო.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე, სტუდენტებისათვის განსაზღვრული დრო სამაგისტრო ნაშრომებზე სამუშაოდ არ არის საკმარისი, სპეციფიურად უნდა მოიძებნოს, ნაშრომის თემა, განსაკუთრებით ხელმძღვანელებზეა საუბარი, რათა ჩაეტიოს სამ თვიან სამუშაო ვადაში. ეს არის დარგი, რომელსაც უპირობოდ სჭირდება საველე კომპონენტი. როდესაც სიახლეზეა საუბარი, ეს სიახლეც განსაზღვრული უნდა იყოს იქედან გამომდინარე, რომ რეალისტური იყოს ნაშრომი, სტუდენტმა შეასრულოს და არ შექმნას ხელმძღვანელის მიერ წლების წინ შესრულებული ნაშრომის ასლი. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია დარგის სპეციფიკის გათვალისწინება.

საბჭოს წევრმა, ელიზბარ ელიზბარაშვილმა დაამატა და აღნიშნა, რომ გასაგებია აღნიშნული დარგისათვის პატარა პერიოდია 3 თვე, მაგრამ საკმარისი არ არის არც ბოტანიკაში, ბიოლოგიაში, ქიმიაში და სხვა დარგებში კვლევისათვის. გამოსავალი უნდა არსებობდეს და არავის ინტერესს არ წამოადგენს, 3 თვეში შესრულდეს ცუდი სამაგისტრო ნაშრომი. შესაძლებელია უფრო ადრიდანვე დაიწყოს სტუდენტმა კვლევა და სამ თვიან ვადაზე მითითება ვერ იქნება რელევანტური.

დაწესებულების წარმომადგენელმა, არჩილ მაღალაშვილმა განმარტა, რომ არსებობს ისეთი თემები, სადაც კვლევების რაოდენობა არ არის მაინცდამაინც დიდი. მაგალითად, ნინო წმინდის ობიექტზე, სადაც კონკრეტული მიმართულებით კვლევების რაოდენობა ძალიან მცირეა, ამიტომ ყველა ნაშრომს ერთგვაროვნად ვერ მივუდგებით. არსებობს ნაშრომები, სადაც 20, 100 და მეტი კვლევაა ჩატარებული, მაგალითად ბოლნისის რაიონთან მიმართებაში, მაგრამ ასევე არსებობს ისეთი ობიექტებიც, სადაც მკვლევარი მისულა სულ 2-ჯერ, თუ 3-ჯერ და ზოგიერთი კვლევა 100 წლის წინანდელია. ამიტომ, სტუდენტს ვერ მოვთხოვთ, რომ ნაშრომში გამოყენებული ლიტერატურული წყაროების ჩამონათვალი აღწევდეს 20-ს ან 30-ს.

საბჭოს თავმჯდომარემ, ნათია ზედგინიძემ განმარტა, რომ საბჭოს წევრის, ელიზბარ ელიზბარაშვილის კომენტარი ეხებოდა ნაშრომში გამოყენებული გარკვეული რაოდენობის წყაროების სახელმძღვანელო ლიტერატურასთან დაკავშირებით.

დაწესებულების წარმომადგენელმა, დავით თარხნიშვილმა განმარტა, რომ საკითხი, თუ რამდენად ყოფნის სამაგისტრო ნაშრომს 3 თვე, არაფორმალურად წყდება მათ ყველა სამაგისტრო პროგრამაზე, რადგან დაწესებულებაში სწავლისას არის კვლევით ერთეულები და

პირველივე სემესტრიდან სტუდენტები ურთიერთობენ აკადემიურ პერსონალთან, მკვლევარებთან. აკადემიური პერსონალის საკონტაქტო ინფორმაცია კი მიზანმიმართულად არის ხელმისაწვდომი დაწესებულების ვებ-გვერდზე. რითიც სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა, რომ ჩაერთონ სხვადასხვა პროექტებში.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, შალვა კელაპტრიშვილმა აღნიშნა, რომ რაც არ უნდა მაღალ მეცნიერულ დონეზე იყოს შესრულებული სამაგისტრო ნაშრომები, მათ სჭირდებათ ვიზუალური კუთხეც, გაფორმება. მან ასევე აღნიშნა, რომ დაწესებულებას შესთავაზა, გაკეთდეს სამაგისტრო ნაშრომის შაბლონი, რომლის მიხედვითაც თვალსაჩინო იქნება თანმიმდევრობის, გვერდების, „ფონტების“ მაგალითები. ძალიან ცუდად ჩანს, როდესაც ნაშრომის გვერდზე მხოლოდ გვერდის ნახევარია შევსებული. უმჯობესია სანამ ნაშრომი გავა დაცვაზე, არსებობდეს პასუხისმგებელი პირი, რომელიც ხელს მოაწერს, რომ ნაშრომი ჩამოყალიბებულია საბოლოოდ და დაცულია გაფორმების წესი. ხელმძღვანელი პასუხისმგებელია ნაშრომის შინაარსზე, მაგრამ თუ მაგალითად ხარისხის სამსახური აიღებს თავის თავზე გაფორმების წესის დაცვის საკითხს ძალიან კარგი იქნება. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე აღნიშნავს, რომ შეისწავლეს ფაქტობრივად ყველა წლის სამაგისტრო ნაშრომი და მათში არ ჩანს ერთიანი სტილი.

საბჭოს თავმჯდომარემ, ნათია ზედგინიძემ აღნიშნა, რომ მესამეს ქვესტანდარტში არის რჩევა ექსპერტების რჩევა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ნინო ჟვანიამ მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეს, შალვა კელაპტრიშვილს და აღნიშნა, რომ ინსტიტუციას შეუძლია თვითონ განსაზღვროს თავისი მექანიზმები ნაშრომის გაფორმებასთან დაკავშირებით, რასაც დაეთანხმა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე.

დაწესებულების წარმომადგენელმა, დავით თარხნიშვილმა უპასუხა საბჭოს წევრთა შეკითხვებს და განმარტა, რომ ბიუჯეტს რაც შეეხებოდა, იქ საუბარია ბიუჯეტზე, რომელიც განსაზღვრულია 20 სტუდენტზე, 2 წლის, მთელი სამაგისტრო პროგრამის მსვლელობის განმავლობაში. ბიუჯეტის დაბალანსებას რაც შეეხება, ბიუჯეტი სავარაუდოა, წინასწარ არ არის ცნობილი ზუსტად რამდენი სტუდენტი შევა პროგრამაზე და რამდენი მიიყვანს ბოლომდე, რაც სტანდარტული შემთხვევაა. აქედან გამომდინარე, ზოგიერთ შემთხვევაში ეს არის დაკავშირებული მეტ ან ნაკლებ ხარჯთან. ასეთ შემთხვევაში, უნივერსიტეტს გააჩნია ძალიან დიდი რესურსები იმისათვის, რომ „დააბუფეროს“ ბიუჯეტის უკმარისობა სხვადასხვა პროგრამებში. არსებობს ბროგრამები, სადაც ბევრი სტუდენტია, საბაკალავრო პროგრამები გამოირჩევა სტუდენტთა რაოდენობით, შემოსავალიც შესაბამისად მეტია სამაგისტრო პროგრამებთან შედარებით, რომლებიც ხარჯვადი პროგრამებია, განსაკუთრებით, - საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა პროგრამები. შესაბამისად, ისიც უკვე ძალიან კარგია, რომ ამ პროგრამას აქვს დაბალანსებული ბიუჯეტი.

დაწესებულების წარმომადგენელმა, დავით თარხნიშვილმა ასევე უპასუხა შეკითხვას საკმარისი იყო თუ არა ხარჯები სამაგისტრო ნაშრომის მომზადებისათვის და განმარტა, რომ სამაგისტრო პროგრამებში კვლევისათვის გამოყოფილია 7500 ლარი, ხშირად ეს შეიძლება საკმარისი არ იყოს, მაგრამ მხედველობაშია მისაღები ის ფაქტი, რომ ამ ბიუჯეტში არ შედის კვლევითი ერთეულების ბიუჯეტები, რომელიც არსებობს და ასეთია დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებების კვლევითი ინსტიტუტი. კვლევით ერთეულები ასაქმებენ სტუდენტებს და დასაქმება იწყება სამაგისტრო კვლევის შესრულებიდან. ასევე, არსებობს საშუალო ხანგრძლივობის პროექტები, რომლებიც გრძელდება 2-3 წელი, სადაც ასევე ხდება მაგისტრანტების კვლევის ჩატარება.

დასაქმებასთან და გამოკვლევასთან დაკავშირებით დავით თარხნიშვილი აღნიშნავს, რომ სტუდენტებს ასაქმებენ კვლევით ერთეულები, რომლებიც მუშაობენ ამ სფეროში და მეორეს მხრივ, ძალიან დიდი რესურსი არის თვითდასაქმების, მათ შორის დედამიწის კვლევით ინსტიტუტში, რომელსაც აქვს სხვადასხვა პროექტები.

ინგლისურენოვან სახელმძღვანელოებთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ სამაგისტრო საფეხურზე მათ ვერასოდეს ექნებათ საკმარისი რაოდენობით სამაგისტრო დონის ქართულენოვანი სახელმძღვანელოები, რომელიც კერძო მიმართულებებს ეხება. აქედან გამომდინარე, სავალდებულოა, რომ უმაღლესი განათლების მქონე ადამიანს, სტუდენტს ჰქონდეს საკმარისი კომპეტენცია ენის, იმისათვის, რომ გაეცნოს უახლეს სამეცნიერო ლიტერატურას. გამოცდილება აჩვენებს, რომ ეს მექანიზმი მუშაობს. სტუდენტებს ყოველთვის მიეწოდებათ ასეთი ლიტერატურა როგორც ბიბლიოთეკებში, ასევე კურსის ფარგლებში, რაც ძალიან ეფექტურად მუშაობს.

დაწესებულების წარმომადგენელმა, თეა გოდოლაძემ დაამატა, რომ მათი ინსტიტუტი დასაქმების კუთხით პირველი დამსაქმებელია. ინსტიტუტის კადრების გაახალგაზრდავება ხდება სტუდენტებით და მათი თანამშრომლები არიან მათივე სტუდენტები. თითოეული სტუდენტი, ბაკალავრის საფეხურიდან მოყოლებული მონაწილეობას იღებენ სამეცნიერო პროექტებში, რომლებიც ხორციელდება დედამიწის შემსწავლელ ინსტიტუტში. დაწესებულების წარმომადგენელმა ასევე ისაუბრა საერთაშორისო პროექტებსა და დაფინანსებაზე. მან აღნიშნა, რომ ინსტიტუტი თანამშრომლობს ამერიკის შეერთებულ შტატებთან და ყველა სხვა სამეცნიერო გუნდთან, რომელიც ამ კუთხით წამყვანია. ინსტიტუტის დაფინანსება არ ხდება მხოლოდ სახელმწიფო ან უნივერსიტეტის ბიუჯეტიდან, ეს მოდის მსხვილი საერთაშორისო გრანტებიდან და კომერციული შემოსავლებიდან.

საბჭოს წევრმა, დიანა მჭედლიშვილმა დამაზუსტებელი შეკითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს და აღნიშნა, რომ პირველივე კურსიდან სტუდენტები იწყებენ ინგლისურენოვანი ლიტერატურით შესწავლას, თუმცა, კი არის არჩევით საგნებში აკადემიური ინგლისურის საგანი, რაც გარკვეული თვალსაზრისით დაეხმარება სტუდენტებს რომლებიც აირჩევენ ამ საგანს, მაგრამ მაინც არის თუ არა საკმარისი იმისათვის, რომ სტუდენტმა დაძლიოს ლიტერატურა.

საბჭოს წევრმა, გაიოზ ფარცხალაძემ შეკითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს და აღნიშნა, რომ ძირითად ლიტერატურაში წარმოდგენილია ინგლისურენოვანი ლიტერატურა, მისაღებს გამოცდაზე კი დაშვების წინაპირობაა B1 დონე და რამდენად თავისუფლად შეძლებს სტუდენტი მოცემული ლიტერატურის შესწავლას. საუბარი იყო, რომ არსებობს ლექტორების მიერ მომხადებული „ჰენდაუთები“. რისკების მართვაშიც არის ბევრი თანამედროვე, ქართული სახელმძღვანელო და ალბათ უფრო მიზანშეწონილი იქნებოდა, თუ სილაბუსში ჩასმული იქნებოდა „ჰენდაუთი“, „რიდერი“ თუ ქართლი სახელმძღვანელო. თუნცად, მაგალითად, სენდაის ჩარჩო დოკუმენტი, რომელიც ბუნებრივი საფრთხეების შეფასებას ეხება.

დაწესებულების წარმომადგენელმა, დავით თარხნიშვილმა ინგლისური ენის დონესთან დაკავშირებით დასმულ შეკითხვას უპასუხა და აღნიშნა, რომ არსებობს ლექციები, რომელთა მიზანიც არის იმის განმარტება, რაც სტუდენტისთვის არ არის გასაგები. აკადემიური ინგლისური გრამატიკულად უფრო მარტივია, ვიდრე სხვა მიმართლებით გამოყენებადი ინგლისური, მაგალითად ონგლისური საგაზეთო ტექსტები. დარგის სპეციფიკური, ინგლისურენოვანი ტერმინოლოგიის სწავლება კი ლექტორის ამოცანაა, ის რომ მოამზადოს სტუდენტი ამ ტერმინოლოგიაში და მისცეს შესაბამისი, ინდივიდუალური მასალა. მხოლოდ ქართული სახელმძღვანელოები კი ვერ დაფარავს თანამედროვე ცოდნის მთელ სპექტრს, რომელიც საჭიროა.

დაწესებულების წარმომადგენელმა, არჩილ მაღალაშვილმა დაამატა და აღNიშნა, რომ პროგრამაზე მიღების დროს, დაწესებულება ამოწმებს სპეციალური ინგლისური ლიტერატურის აღქმის უნარს.

დაწესებულების წარმომადგენელმა, მიხეილ ელაშვილმა ლიტერატურასთან დაკავშირებით დაამატა და აღნიშნა, რომ სამაგისტრო საფეხური არის ის დონე, როდესაც თანამედროვე ცოდნა უნდა მიიღს სტუდენტმა და მეცნიერებაში გადადის. ინგლისური ენა კი არის საერთაშორისო ენა, რითიც თანამედროვე მეცნიერება ვითარდება. ეს ეხება ასევე სახელმძღვანელოებს, რადგან ქართული სახელმძღვანელოები საბაზისო დონეზე არსებობს, მაგრამ სპეციფიკურ დონეზე და

განსაკუთრებით ტექნოლოგიებთან მიმართებაში კიდევ უფრო ჭირს ქართულენოვანი ლიტერატურის მოძიება. ტექნოლოგიების სწრაფი განვითარებიდან გამომდინარე, სწრაფად იცვლება ლიტერატურაც და ყოველწლიურად ინგლისურიდან ქართულზე თარგმნა არარენტაბელური ხდება. ინგლისური ენის დონესთან დაკავშირებით დაწესებულება გამოდის ბაკალავრთა მიერ ინგლისური ენის ცოდნის ხარისხიდან. სხვა შემთხვევაში დაწესებულება უფრო მაღალი დონის ცოდნას მოითხოვდა.
დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ დაწესებულება მაქსიმალურად ცდილობს, რომ სტუდენტებს მიაწოდოს თანამედროვე ცოდნა, რაშიც მათი „რიდერები“ ძალიან ეხმარებათ, თანამედრობე ინგლისური სახელმღვანელოები, სტატიები და თავის მხივ არჩევითი ინგლისურის კურსები, რომელიც ასევე შედის პროგრამაში.
დაწესებულების წარმომადგენელმა, არჩილ მაღალაშვილმა აღნიშნა, რომ დაწესებულება არ მიდის გამარტივების გზით, არამედ ძალიან დიდი თავის ტკივილია ინგლისური ლიტერატურა, მაგრამ ეს ხორციელდება იმისათვის, რომ სტუდენტებს მისცენ სრულყოფილი ცოდნა. ამასთან დაკავშირებით არასდროს არ ყოფილა რაიმე უკმაყოფილება სტუდენტთა მხრიდან.
შრომის ბაზრის კვლევასთან დაკავშირებით კი დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ბაზრის კვლევა ჩაატარეს ცალ-ცალკე, ყველა საფეხურისათვის. დაწესებულების ლექტორები და პროფესორები თავად არიან დამსაქმებლები და თავად მონაწილეობენ მთელ რიგ პროექტებში. ჩატარებული კვლევა ფარავდა პრაქტიკულად ყველა მიმართლებას. მონაწილეობას იღებდა სახელმწიფოს ყველა სააგენტო, სახელმწიფოს სამეცნიერო დაწესებულებები და ყველა ძირითადი მიმართულების კომპანიები.

15:00 საათზე საბჭოს შემოუერთდა ეკატერინე ნაცვლიშვილი.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 15:15
დასრულების დრო: 16:15

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:
კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 15
წინააღმდეგი - 0

აკრედიტაციის საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაციები კერძოდ, აკრედიტაციის სტანდარტის 2.1 და 3.2 კომპონენტები ნაცვლად “მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან” შეფასდა, როგორც “შესაბამისობაშია მოთხოვნებთან”. საბჭომ რეკომენდაციები და რჩევები ჩამოაყალიბა შემდეგნაირად:

რეკომენდაციები:
1 რეკომენდებულია, დაკორექტირდეს წინაპირობის ჩანაწერი და მიეთითოს ენობრივი კომპეტენციის დონე B1+, რომელიც წარმოადგენს გარდამავალ ენობრივ კომპეტენციას B1.2 და B .1 დონეებს შორის.
2 რეკომენდირებულია „სამაგისტრო ნაშრომში“ დაკორექტირდეს დაშვების წინაპირობები, ამოღებულ იქნას სასწავლო კურსი „საწარმოო პრაქტიკა“.
3 რეკომენდირებულია, სასწავლო კურსებში შედეგები ისე უნდა გაიწეროს, რომ შესაძლებელი იყოს აღწერილ მოქმედებაზე დაკვირვება, გაზომვა;

4 რეკომენდებულია, რეკომენდირებულია სასწავლო კურსში „საწარმოო პრაქტიკა“ გადაიხედოს საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათები, საათების თანაფარდობა და შესაბამისობაში მოვიდეს კურსით განსაზღვრულ მიზნებთან და სწავლის შედეგებთან.
5 რეკომენდირებულია სასწავლო კურსში „დედამიწის გეოლოგიური ისტორია“ შესაბამისობაში მოვიდეს კურსის დასახელება და შინაარსი;
6 რეკომენდებულია დამსაქმებლებთან/პარტნიორებთან ისეთი მემორანდუმების და შეთანხმებების გაფორმება/განახლება, რომელიც გაითვალისწინებს საწარმოო პრაქტიკაზე სტუდენტთა სავარაუდო რაოდენობას და ჩასატარებელი სამუშაოების ხანგძლივობა
7.რეკომენდებულია, რიგი სასწავლო კურსების სილაბუსებში შეფასების კრიტერიუმები ან/და რუბრიკები უფრო დეტალიზებული და გაზომვადი გახდეს;
8. რეკომენდირებულია სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელობმა უზრუნველყონ სამაგისტრო ნაშრომების გაფორმების, დაცვის და ციტირების უნიფიცირებული წესის დაცვა.

რჩევები:

- სასურველია დაკორექტირდეს სამიზნე ნიშნულების რუკა;
- სასურველია სასწავლო კურსებისათვის “აკადემიური წერა” და “საწარმოო პრაქტიკა” დაკორექტირდეს დაშვების წინაპირობები;
- სასურველია სასწავლო კურსში „ ბუნებრივი საფრთხეების რისკის შეფასება“ კურსის შინაარსი და სპეციფიკის გათვალიწინებით სავალდებულო ლიტერატურაში აისახოს სენდაის ჩარჩო-დოკუმენტი;
- ასურველია, სასწავლო კურსიდან “პეტროლოგია” ამოღებულ იქნას მე-6 და მე-7 კვირის თემატიკა, რაც ეხება დანალექი ქანების შესწავლას;
- სასურველია, სასწავლო კურსებში, სადაც ინტეგრირებულია საველე პრაქტიკები, ჩანდეს, საველე პრაქტიკების ობიექტები;
- სასურველია პროგრამისთვის ქართულენოვანი სახელმძღვანელოების და სალექციო კურსების მომზადება-განახლება;
- სასურველია, პროგრამის ფინანსური მდგრადობის მეტი თვალსაჩინოებისთვის წარმოდგენილ იქნეს უფრო დეტალიზებული პროგრამული ბიუჯეტი;
- სასურველია უმაღლეს სასწავლებელმა წარმოადგინოს სტანდარტთან შედარების მასალები (ე.წ. ბენჩმარკის ანალიზის შედეგები), რათა საგანმანათლებლო პროგრამის განვითარების შემდგომ ეტაპზე, პროგრამის განმახორციელებლებისთვის ცნობილი გახდეს მისი თანხვედრა და აქტუალობა დარგის თანამედროვე სტანდარტებთან;
- სასურველია დადგინდეს თუ რამდენ მაგისტრანტს შეუძლია უხელმძღვანელოს ერთმა უფლებამოსილმა პირმა

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-3^1 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3^1 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხ ლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, საბჭომ გადაწყვიტა მიენიჭოს სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის “დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებების” სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას აკრედიტაცია 7 წლის ვადით, 1 წელიწადში ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

საბჭოს გადაწყვეტილებით აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2021 წლის 14 სექტემბერს.

მეორე საკითხი: სსიპ -ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის "მათემატიკის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	**ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	მათემატიკა
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2012 წლის 12 მარტის # 53 გადაწყვეტილება
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მეშვიდე დონე
9	კვალიფიკაციის დასახელება	მათემატიკის მაგისტრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	Mathematics 0541
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
14	განხორციელების ადგილი	ნინოშვილის/რუსთაველის ქ. №35/32 უნივერსიტეტის II კორპუსი, ბათუმი, 6010, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ დიახ

თვითაცილება განაცხადეს გაიოზ ფარცხალაძემ და ანზორ ბერიძემ. თვითაცილების საფუძველს წარმოადგენდა შრომითი ხელშეკრულების არსებობა დაწესებულებასთან.
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას,

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, რომეო გალდავამ აღნიშნა, რომ ვიზიტი განხორციელდა 2021 წლის 23 აგვისტოს, ონლაინ რეჟიმში. ვიზიტის ფარგლებში განხორციელდა დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა შეხვედრა. ასევე დისტანციურად განხორციელდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება. გადამოწმდა სახელმძღვანელოების/სასწავლო მასალის ხელმისაწვდომობა. ასევე შემთხვევითი შერჩევის პრინციპით გადამოწმდა 5 სამაგისტრო ნაშრომი. დაწესებულებამ თავის მხრივ უზრუნველყო მშვიდ, აკადემიურ გარემოში ვიზიტის პროცესის განხორციელება.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:

1. პროგრამის სტრუქტურიდან გამომდინარე, რეკომენდებულია სპეციალობაში შიდასაუნივერსიტეტო საგამოცდო საკითხები დაბალანსებულად მოიცავდეს სამივე კონცენტრაციის შესაბამისი დონის საკითხებს;
2. რეკომენდებულია პროგრამაზე დაშვების წინაპირობად განისაზღვროს შიდასაუნივერსიტეტო გამოცდის ჩაბარება ინგლისურ ენაში (B2 დონე);
3. რეკომენდებულია, სასწავლო კურსების სილაბუსებში დეტალურად გაიწეროს შუალედურ და დასკვნით გამოცდაზე მოცემული დავალებების შეფასების კრიტერიუმები და რუბრიკები;
4. რეკომენდებულია უნივერსიტეტმა განსაზღვროს სამაგისტრო ნაშრომის შეფასების გაზომვადი კრიტერიუმები და დეტალური რუბრიკები, რათა სტუდენტის შეფასების პროცესში მაქსიმალურად იყოს დაცული ობიექტურობა, სანდოობა, ვალიდურობა და გამჭვირვალობა;
5. რეკომენდებულია, დამსაქმელებთა გამოკითხვის შედეგების ანალიზის დოკუმენტის შემუშავება განხორციელდეს კონკრეტულად სამაგისტრო პროგრამასთან მიმართებით.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
დაწესებულების წარმომადგენელმა, ვლადიმერ ღლონტმა მადლობა გადაუხადა ექპერტთა ჯგუფს მათ მიერ გამოთქმული, ობიექტური რეკომენდაციებისა და რჩევებისათვის. მან აღნიშნა, რომ დაწესებულება სრულად იზიარებდა იმ რეკომენდაციებსა და რჩევებს, რომელიც იყო გამოთქმული, ვინაიდან მიაჩნდა, რომ მათი გათვალისწინება მხოლოდდამხოლოდ წაადგებოდა პროგრამის ფუნქციონირებას და მის შემდგომ ზრდა-განვითარებას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრმა, გიორგი ღაღანიძემ შეკითხვით მიმართა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეს და აღნიშნა, რომ დოკუმენტი, რომელსაც გაეცნო, წარმოდგენილი იყო „საბაკალავრო პროგრამის დამსაქმებელთა ანალიზის“ სახელწოდებით. ხომ არ იყო რაიმე სხვა დოკუმენტიც, რომელსაც საბჭოს წევრი არ იცნობდა, თუ წარმოდგენილი დოკუმენტი ფარავდა საბაკალავრო პროგრამას და სამაგისტროსაც?
საბჭოს წევრმა ასევე აღნიშნა, რომ საბჭოს მუდმივად ქონდა ბათუმის უნივერსიტეტთან საუბარი, რომ ბიუჯეტი წარმოდგენილი ყოფილიყო ახალი ფორმატით და დაწესებულების კანცლერი მუდმივად ჰპირდებოდათ, რომ წარმოადგენდა ახალი ფორმატით შედგენილ ბიუჯეტს და კარგი იქნებოდა, თუ დაწესებულება წარმოადგენდა ამ სახით ბიუჯეტის დოკუმენტს, რათა პროგრამის ფინანსური მდგრადობის საკითხი არ ყოფილიყო საბჭოს მხრიდან კითხვის ნიშნის ქვეშ დაყენებული.
საბჭოს წევრმა, დიანა მჭედლიშვილი დაინტერესდა თუ როგორი იყო პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტების რაოდენობა, რადგან დინამიკა არ იყო სახარბიელო და ჯამში 8 სტუდენტი იყო ჯამურად, რა მექანიზმები ჰქონდა დაწესებულებას შემუშავებული აღნიშნულთან დაკავშირებით, რა ნაბიჯებს დგამდა იმისათვის, რომ უფრო მიმზიდველი გამხდარიყო მისი სამაგისტრო პროგრამა.
საბჭოს წევრმა დაწესებულებას ასევე მიმართა შეკითხვით სამაგისტრო ნაშრომებში გამოყენებულ ლიტერატურასთან დაკავშირებით, რადგან ნაშრომებში მითითებული იყო 1960, 1964, 1978 წლის სახელმძღვანელოები. ბუნებრივია ისინი იყო კლასიკური სახელმძღვანელოები, რომელსაც უნდა დაყრდნობოდა მაგისტრანტი, თუმცაღა, უახლესი ნაშრომები და წყაროებიც უნდა ყოფილიყო პარალელურად გამოყენებული.
საბჭოს წევრმა, ასევე დაწესებულებას მიმართა შემდეგი შეკითხვით, თუ რამდენად დაძლევადი იქნებოდა პროგრამა ნებისმიერი სპეციალობის ბაკალავრისათვის მისი შინაარსიდან გამომდინარე, ვინაიდან მიღების წინაპირობაში დაზუსტებული არ იყო მაგალითად, მათემატიკის ბაკალავრის კურსდამთავრებულ სტუდენტს იღებდნენ, თუ ტექნიკური დარგის. ეს არ იყო დაკონკრეტებული და როგორ არეგულირებდა ამ საკითხს ინსტიტუცია და რამდენად დაძლევადი იქნებოდა ნებისმიერი ბაკალავრისთვის.
საბჭოს წევრმა, ელიზბარ ელიზბარაშვილმა შეკითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, როგორი ტენდენცია და დაინტერესება იყო წარმოდგენილი ტიპის მათემატიკის პროგრამის მიმართ. სახელმწიფოს მიერ დაფინასნებულ პროექტებზეც კი, პრაქტიკულად, სტუდენტები აღარ მიდიოდნენ. საბჭოს წევრი ასევე დაინტერესდა, სამაგისტრო ნაშრომებთან დაკავშირებით. მან აღნიშნა, რომ გადახედა სამ სამაგისტრო ნაშრომს, ერთ მათგანში იყო დასკვნა, მეორეში დასკვნის ფორმატით იყო მოყვანილი გარე შემფასებლის დასკვნა, საერთოდ სხვა ორგანიზაციის მიერ, როგორც დასკვნა. ეს იყო ორგანული ნაწილი ნაშრომის, შემთხვევით მოხვდა ნაშრომში თუ ეს იყო ზოგადად მიღებული ფორმა. საბჭოს წევრმა ასევე აღნიშნა, რომ ერთ სამაგისტრო ნაშრომში საერთოდ არ იყო დასკვნა. ლიტერატურაში მითითებული იყო სამეცნიერო სტატიები, რაც ძალიან კარგი იყო, მაგრამ სამი სხვადასხვა სტილი იყო გამოყენებული: „აპა“, „ჩიკაგო“ და „იე“. ეს საკითხი რეგულირებული იყო ინსტიტუციის მიერ, თუ არა.
დაწესებულების წარმომადგენელმა, ლელა თურმანიძემ პროგრამაზე ჩარიცხულ სტუდენტთა რაოდენობასთან დაკავშირებულ შეკითხვაზე უპასუხა, რომ მაგისტრატურის საფეხურზე 25 სტუდენტზე აცხადებდნენ მიღებას, სახელმწიფოს დაფინანსებული იყო და ჰქონდათ აბსოლიტური შევსება, ასეთ იყო ბოლო წლების ტენდენცია. მაგისტრატურის საფუხურზე შედარებით იკლებდა სტუდენტთა რიცხვი, რაც დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით გამომდინარეობდა არსებული შრომის ბაზრით, რადგან ვერ რეგულირდება სათანადო საჭიროებები მაგისტრის ხარისხის მოთხოვნასთან დაკავშირებით. დაწესებულების წარმომადგენელმა, ლელა თურმანიძემ ასევე განმარტა, რომ ჩაირცხულ სტუდენტთან უმრავლესობას მოპოვებული ჰქონდა გრანტი და მათი განათლების ხარისხიც მაღალი იყო. დაწესებულების წარმომადგენელმა, ასევე ხაზი გაუსვა, რომ მათთვის, როგორც რეგიონის

უნუვერსიტეტისათვის მნიშვნელოვანი იყო „მათემატიკის“ სამაგისტრო პროგრამა არსებობდეს და რომ უნივერსიტეტი გარკვეულ წილად ფარავდა ხარჯებს. დაწესებულების წარმომადგენელმა, შრომის ბაზრის კვლევასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ერთობლივად გაკეთდა რადგან მისი განმარტებით, რამდენიმე პროგრამაზე ერთობლივად მოხდა მუშაობა და საბაკალავრო და სამაგისტრო დონეზე, რადგან დამსაქმებლების ტიპი ერთიდაიგივე იყო, ამიტომ ერთობლივად მოხდა ანალიზი. დაწესებულების წარმომადგენელმა, ასევე ხაზი გაუსვა, რომ ახალი სასწავლო წლწიდან იგეგმებოდა სხვა ტენდენციის თვისობრივი კვლევის დანერგვას, დამსაქმებლებთან შეხვედრას და მრგვალი მაგიდის გამართვა, რათა უფრო დეტალური დიალოგი გაიმართოს. დაძლევადობასთან დაკავშირებულ შეკითხვაზე, ინსტიტუციის წარმომადგენელმა განმარტა, რომ პრგრამას არ ჰქონდა წინაპირობად მათემატიკის ბაკლავრი, თუმცა მისაღები გამოცდებით რეგულირდებოდა აღნიშნული საკითხი, რადგან საკითხები შერჩეული იყო სტუდენტის შესაბამისი უნარების გამოსავლენად.
საბჭოს წევრი დიანა მჭედლიშილი დაინტერესდა, თუ როგორი იყო პრაქტიკა პროგრამაზე ჩარიცხულ სტუდენტებთან დაკავშირებით, ძირითადად ვინ ირჩევდა აღნიშნულ პროგრამაზე.
დაწესებულების წარმომადგენელმა, ლელა თურმანიძემ განმარტა, რომ ძირითადად მაგისტრატურაზე სწავლას აგრძელებდნენ, მათემატიკის საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულები. დაწესებულების წარმომადგენელმა, ასევე ისაუბრა სამაგისტრო ნაშრომების გაფორმებასთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში იყო ფორმატი. მისი განმარტებით, ხარისხის სამსახური მუშაობდა სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის რედაქტირებაზე. დაწსებულების წარმომადგენელმა, ასევე ხაზი გაუსვა, რომ ინსტიტუცია ითვალისიწნებდა ყველა რეკომენდაციას, რაც აისახებოდა შემდგომ სასწავლო პროცესში. მისი თქმით, ინსტიტუცია განვითარებაზე არის ორინტირებული.
საბჭოს წევრმა, ელიზბარ ელიზბარაშვილმა, დააფიქსირა მოსაზრება, რომ მისი შეფასებით სახელმწიფო უნივერსიტეტებს შორის აღნიშნული უნივერსიტეტი იყო ყველაზე დინამიურად მზარდი და თხოვნით მიმართა ინსტიტუციის წარმომადგენლებს, რომ არ მოეხსენიებინათ, როგორც რეგიონის უნივერსიტეტი.
დაწესებულების წარმომადგენელმა, ვლადიმერ ღლონტმა დამატა, რომ დაიწყო მუშობა, სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის შექმნაზე, ზუსტდებოდა არსებულ წესში რეკომენდაციებს, რომელიც ექსპერტების მიერ იყო გამოთქმული სხვა პროგრამებზე. (მაგ. კომპიტერულ მეცნიერებებზე იყო რეკომენდაცია, რომ დაზუსტებულიყო სტუდენტის სტატუსის მოპოვების წესი) დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, აღნიშნული ცვლილებები იყო შემუშავებული და შევიდოდა სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში. მისი თქმით, ასევე, ხდებოდა შეფასების გარკვეული მხარეების და დეტალების დაზუსტება.
ბაზრის კვლევასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენლემა, განმარტა, რომ როდესაც ინსტიტუციამ 2018 წელს „ბიზნესის ადმინისტრირების“ საბაკლავრო-სამაგისტრო ნაშრომები წარადგინა აკრედიტაციაზე, გამოთქმული იყო რეკომენდაცია ბაზრის კველავსთან დაკავშირებით, სადაც იყო მითითებული, რომ ინსტიტუცია არ უნდა შემოფარგულიყო მხოლოდ სტუდენტების, კურსდამთავრებულების რაოდენობრივი გამოკითხვებით. ბაზრის კვლევა უნდა ითვალისწინებდეს თავის თავში, როგორც რაოდენობრივი კვლევის მეთოდების, ასევე თვისობრივი კვლევის მეთოდების ჩართვას და ამ მიმართულებით ინსტიტუცია გადაგმს კონკრეტულ ნაბიჯებს, რომ ბაზრის კვლევა იყოს სრულფასოვანი, სრულყოფილი და რელურად პასუხობდეს იმ გამოწვევებს რაც რელაურად დგას. ბიუჯეტთან დაკავშირებით, დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ 2018 წელს უნივერსიტეტმა მიიღო, უნივერისტეტის საბიუჯეტო პროცესის მარეგულირებელი წესი. მისი, თქმით უნივერსიტეტის მაშტაბიდან და შემოსავლებიდან გამომდინარე, ინსტიტუციურად განსაზღვრული იყო საუნივერსიტრეტო ცენტრალური ბიუჯეტი, ხოლო ყველა დანარჩენი დოკუმენტები, რომელთა წარმოდგენაც ხდება პროგრამულად ცალკეულ პროგრამებთან მიმართებაში ეს არის ხარჩთაღრიცხვა. მიმდინარე წელს შევიდა ცვლილება და დოკუმენტს დაერქვა „პირველადი

ბიუჯეტი“ რომლითაც ინსტიტუცია ცდილობს შეაფასოს პროგრამის ფინანსური მდგრადობა და დაბალანსდეს შემოსავლებები და ხარჯები. დაწესებულების წარმომადგენელმა, ხაზი გაუსვა, რომ ხარჯები, რომელიც მიმართული იყო პროგრამის განვიტარებასთან, პროფესორ-მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებასთან, საგრანტო პროექტების დაფინანსებასთან ფინანსდება საუნივერსიტეტო ბიუჯეტიდან. მისი განმარტებით, საბიუჯეტო პროცესის მართვის მარეგულირებელი წესის შესაბამისად იყო ჩანაწერი, რომ 2019 წლიდან უნდა ამოქმედებულიყო უნივერსიტეტის ფარგლებში, პროგრამული დაფინასება, თუმცა უნივერსიტეტში მიმდინარე რიგ ორგანიზაციულ-სტრუქტურული პროცესების გამო აღნიშნული ვერ განხორციელდა. დაწესებულების წარმოამდგენლის განმარტებით, მიმდინარეობდა პროცესი, არსებული რეალობის შეფასების და გამოთქმული რეკომენდაციების გათვალისწიენები, ხოლო ორინტირი პროგრამული დაფინანსების შემოღება იყო.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 16:40
დასრულების დრო: 17:00

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 15
წინააღმდეგი - 0
აკრედიტაციის საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაციები, კერძოდ, აკრედიტაციის სტანდარტის 5.1 კომპონენტი ნაცვლად “მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან” შეფასდა, როგორც “შესაბამისობაშია მოთხოვნებთან,ხოლო 1.2 კომპონენტი ნაცვლად “შესაბამისობაშია მოთხოვნებთან”, შეფასდა როგორც “მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან”. აბჭოს მიერ რეკომენდაციები და რჩევები ჩამოყალიბდა შემდეგნაირად:
რეკომენდაციები:

1. რეკომენდირებულია პროგრამის სწავლის შედეგები შესაბამისობაში მოვიდეს თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნებთან.
2. პროგრამის სტრუქტურიდან გამომდინარე, რეკომენდებულია სპეციალობაში შიდასაუნივერსიტეტო საგამოცდო საკითხები დაბალანსებულად მოიცავდეს სამივე კონცენტრაციის საბაზო საკითხებს;
3. რეკომენდებულია პროგრამაზე დაშვების წინაპირობად განისაზღვროს შიდასაუნივერსიტეტო გამოცდის ჩაბარება ინგლისურ ენაში (B2 დონე).
4. რეკომენდებულია, რეკომენდირებულია სასწავლო კურსში „საწარმოო პრაქტიკა“ გადაიხედოს საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათები, საათების თანაფარდობა და შესაბამისობაში მოვიდეს კურსით განსაზღვრულ მიზნებთან და სწავლის შედეგებთან;
5. რეკომენდებულია, სასწავლო კურსების სილაბუსებში დეტალურად გაიწეროს შუალედურ და დასკვნით გამოცდაზე მოცემული დავალებების შეფასების კრიტერიუმები და რუბრიკები;
6. რეკომენდებულია უნივერსიტეტმა განსაზღვროს სამაგისტრო ნაშრომის შეფასების გაზომვადი კრიტერიუმები და დეტალური რუბრიკები, რათა სტუდენტის შეფასების პროცესში მაქსიმალურად იყოს დაცული ობიექტურობა, სანდოობა, ვალიდურობა და გამჭვირვალობა.

რჩევები:

- სასურველია, სწავლის შედეგების რუკაში აისახოს სასწავლო კურსებსა და პროგრამის სწავლის შედეგების კავშირის ხარისხი (გაცნობა, გაღრმავება, განმტკიცება ან სხვ);

- სასურველია პროგრამის სწავლის შედგები ჩამოყალიბდეს იმგვარად, რომ უზრუნველყოფილ იქნას მათი გაზომვადობა;
- სასურველია, პროგრამას დაემატოს ისეთი სასწავლო კურსები, რომლებიც ორიენტირებული იქნება სხვადასხვა სფეროებში მათემატიკური აპარატის გამოყენებებზე;
- სასურველია, რომ სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე, პროფესორ-მასწავლებლებს შესაძლებლობა ჰქონდეთ შეცვალონ დასკვნითი და შუალედური გამოცდის ქულების გადანაწილება არსებული კანონმდებლობის ფარგლებში;
- სასურველია სამაგისტრო ნაშრომის მომზადებისას სტუდენტებს დამატებით კონსულტაცია გაეწიოთ გამოყენებული ლიტერატურის მითითების წესთან დაკავშირებით;
- სასურველია ნაშრომები ეფუძნებოდეს თანამედროვე ლიტერატურას (კვლევებს, სამეცნიერო სტატიებს და სხვ);
- სასურველია, პროგრამის განხორციელებისთვის და განვითარებისათვის აუცილებელი ხარჯები ჩაიშალოს საჭიროებების მიხედვით;
- სასურველია, პროგრამის შეფასებისას დაინტერესებული პირების მეტი ჩართულობის უზრუნველყოფა სწავლების საფეხურის და პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

გადაწყვეტილება:
უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-3^1 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3^1 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხ ლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, საბჭომ გადაწყვიტა მიენიჭოს, სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის “მათემატიკის” სამაგისტრო პროგრამას აკრედიტაცია 7 წლის ვადით, 1 წელიწადში ანგარიშის წარმოდგენის პირობით.
საბჭოს გადაწყვეტილებით აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2021 წლის 14 სექტემბერს.

მესამე საკითხი: ა(ა)იპ -ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის "სოციალური მეცნიერებების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	**ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	სოციალური მეცნიერებების საბაკალავრო პროგრამა
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4		გადაწყვეტილება N713

	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	27.11.2012
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	სოციალური მეცნიერებების საბაკალავრო პროგრამა
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	დონე 6
9	კვალიფიკაციის დასახელება	სოციალური მეცნიერებების ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	სოციალური და ქცევითი მეცნიერებები - არაკლასიფიცირებული, 0319
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	242 ECTS
14	განხორციელების ადგილი	გორგასლის N101, თბილისი, 0114, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

√ დიახ

თვითაცილება განაცხადა თეონა მატარაძემ. თვითაცილების საფუძველს წარმოადგენდა შრომითი ხელშეკრულების არსებობა დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მესამე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ირაკლი მანველიძემ აღნიშნა, რომ აკრედიტაციის ჯგუფის ონლაინ ვიზიტი ა(ა)იპ ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტში შედგა 2021 წლის 16 ივლისს გაწერილი დღის წესრიგის მიხედვით. გარდა ამისა, დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით მოხდა უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება, რომელიც მოემსახურება საბაკალავრო პროგრამის ფუნქციონირებას. ექსპერტის განმარტებით პროგრამის შეფასებამ

ჩაიარა კონსტრუქციულ გარემოში; რესპონდენტები იყვნენ ინფორმატიულები, მომზადებულები და გულწრფელები, რამაც ექსპერტთა ჯგუფს მისცა ადეკვატური და ობიექტური შეფასებების გაკეთების შესაძლებლობა.
ექსპერტის განმარტებით:

- საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - პროგრამა **შესაბამისობაშია** სტანდარტის მოთხოვნებთან;
- სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - პროგრამა **მეტწილად შესაბამისობაშია** სტანდარტის მოთხოვნებთან;
- სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - პროგრამა **შესაბამისობაშია** სტანდარტის მოთხოვნებთან;
- სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - პროგრამა **შესაბამისობაშია** სტანდარტის მოთხოვნებთან;
- სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - პროგრამა **შესაბამისობაშია** სტანდარტის მოთხოვნებთან;

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:

1. (1.2.) რეკომენდირებულია, პროგრამის სწავლის შედეგებში მკაფიოდ გაიმიჯნოს ცოდნა და გაცნობიერებისა და უნარების, უნარებისა და პასუხისმგებლობა და ავტონომიურობის ნაწილები, რათა სწავლის შედეგები არ იყოს ბუნდოვანი, ძნელად გასაზომი და შესაფასებელი.
2. (1.2) რეკომენდირებულია დაწესებულებამ უზრუნველყოს პროგრამის შემუშავების პროცესში ყველა დაინტერესებული მხარის, მათ შორის კურსდამთავრებულების ორგანიზებული და სისტემური ჩართულობა.
3. (2.2) რეკომენდირებულია პროგრამაში შემავალი ზოგიერთ სასწავლო კომპონენტს შორის გამოიკვეთს პრერეკვზიტი რომ სასწავლო კურსები იყოს თანმიმდევრულად და ლოგიკურად დალაგებული და შემდგომ კომპონენტზე დაშვების წინაპირობები ადეკვატური. სასწავლო კურსი ,,შესავალი სოციალურ მეცნიერებებში“ უნდა იყოს წინა პირობა სასწავლო კურსების: „თვისებრივი კვლევის მეთოდები სოციალურ მეცნიერებებში“, „შესავალი სოციოლოგიაში“, „ფსიქოლოგიის საფუძვლები“, „შესავალი ეკონომიკაში“, „შესავალი პოლიტიკის მეცნიერებებში“, „შესავალი სოციალურ ფსიქოლოგიაში“.
4. (2.3) რეკომენდებულია სასწავლო კურსებში: ,,შესავალი სოციალურ მეცნიერებებში“, ,,თვისობრივი კვლევის მეთოდები სოციალურ მეცნიერებებში“, „შესავლი პოლიტიკის მეცნიერებებში“ კურსის „შესავლი ეკონომიკაში“ თემატური გადაფარვების აღმოფხვრა.
5. (2.3) რეკომენდებულია სასწავლო კურსებში: „რაოდენობრივი კვლევის მეთოდები და სტატისტიკა სოციალურ მეცნიერებებში“ და „სოციალურ მეცნიერებათა კვლევის გაძლიერებულ კურსში“ მოყვანილი საათები შესაბამისობაში უნდა იქნას მოყვანილი სასწავლო გეგმაში საგნისთვის გამოყოფილი საათების რაოდენობასთან.
6. (2.3) რეკომენდებულია სასაწავლო კურსში ,,თანამედროვე ტენდენციები სოციალურ მეცნიერებებში“ მკაფიოდ მიეთითოს სასწავლოს კურსის განმახორციელებლი პირები (საკონტაქტო ინფორმაციით) და ასევე გაიწეროს მე-9 და მე-10 კვირის თემა და ძირითადი ლიტერტაურა.
7. (2.6) რეკომენდებულია, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვარი №3 ბრძანების მე-4 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, შემდეგი სასწავლო კურსების: 1.ფსიქოლოგიის საფუძვლები; 2.საზოგადოების აზროვნების ფილოსოფიური

საფუძვლები; 3.შესავალი ეკონომიკაში; 4.შესავალი პოლიტიკის მეცნიერებებში; 5.საზოგადოებასთან ურთიერთობების საფუძვლები; 6.საგარეო და თავდაცვის პოლიტიკა; 7.პოლიტიკური იდეოლოგიები; 8.შესავალი საერთაშორისო ურთიერთობათა თეორიაში და 9.ევროკავშირის პოლიტიკა - სილაბუსებში დასკვნითი გამოცდების შეფასების მეთოდები იყოს დაკონკრეტებული შესაბამისი შეფასების კრიტერიუმებითა და რუბრიკით.

8. (5.3) რეკომენდებულია, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ გააქტიურდეს მუშაობა პროგრამის მოწვეულ და აკადემიურ პერსონალთან სწავლის შედეგების მართებულად ჩამოყალიბების (მოქმედების გამომხატველი, აქტიური ზმნებით, რათა შესაძლებელი იყოს მათი გაზომვადობა) მიზნით, რაც შემდგომ ეტაპზე გაამარტივებს პროგრამის მონიტორინგისა და შეფასების პროცესებს სწავლის შედეგებთან მიმართებით.
9. (5.3.) რეკომენდებულია, პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებისა და მონიტორინგის პროცესების ეფექტიანი განხორციელების უზრუნველსაყოფად, მოხდეს პროგრამისა და სასწავლო კურსების სწავლის შედეგების რეფორმულირება არსებული უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებისა და ეროვნული კვალიფიკაციათა ჩარჩოს მოთხოვნების შესაბამისად.

ექსპერტთა ჯგუფის პოზიციით, აღნიშნული რეკომენდაციების აღმოფხვრა შესაძლებელია ექვსი თვიდან ერთი წლის შუალედში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა, მანანა გაბაშვილმა აღნიშნა, რომ დაწესებულება სრულად იზიარებდა რეკომენდაციების ნაწილს და უკვე დაწყებული ჰქონდათ კორექტირებების შეტანა. ასევე იყო რეკომენდაციები, რომლების მისაღები იყო დაწესებულებისთვის და აცნობიერებდნენ მათ მნიშვნელობას, მაგრამ სურდათ, განემარტათ მათ პოზიცია, თუ რატომ იყო წარმოდგენილი იმ სახით და არა სხვა ნაირად. არსებობდა რეკომენდაციებიც, რომელზეც განსხვავებული პოზიცია ჰქონდა დაწესებულებას. დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ სრულად იღებდნენ ყველა იმ რეკომენდაციას, რომლის ნაწილიც ეხებოდა საგანმანათლებლო პროგრამაში არსებულ ტექნიკურ ხარვეზებს და უმოკლეს ვადაში მოახდენდნენ მათ კორექტირებას. მანდ კონკრეტულად ჩამოთვალა რეკომენდაციები, რომელთაც იზიარებდა დაწესებულება. დაწესებულების წარმომადგენელმა დანარჩენ რეკომენდაციებთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ 1-ლი სტანდარტის 1.2 კომპონენტთან დაკავშირებით, რეკომენდაციაზე, რომელიც ეხებოდა პროგრამის შემუშავების პროცესში ყველა დაინტერესებული პირის ჩართვას, დაწესებულება ყოველთვის ახორციელებდა რეკომენდებულ ქმედებებს და პროგრამიშ შემუშავების პროცესში ჩართული იყვნენ დაინტერესებული პირები, მათ შორის კურსდამთავრებულებიც. დაწესებულება მართავდა შეხვედრებს, გააჩნდა ფოკუსჯგუფები კურსდამთავრებულებთან და ეს ასახული იყო დოკუმენტაციაშიც. პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით, რომელიც შეეხებოდა პროგრამის სწავლის შედეგებში ცოდნა-გაცნობიერების უნარების უფრო მკაცრად გამიჯვნას, დაწესებულების წარმომადგენელი, მანანა გაბაშვილი აღნიშნავს, რომ ეს იყო მისი შეცდომა, რადგან თვლიდან, რომ მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის და პროფესიული განვითარების მნიშვნელობის გაცნობიერება იყო ტრანსფერული უნარი. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით დაწესებულება მზად იყო ემუშავა და რეკომენდაციასთან შესაბამისობაში მოეყვანა ყველა საკითხი. სასწავლო კურსთან დაკავშირებით, - შესავალი სოციალურ მეცნიერებებში, დაწესებულების წარმომადგენელი აცხადებს, რომ აღნიშნული სასწავლო კურსის პრერეკვიზიტად გადატანა, ისე, როგორც ეს რეკომენდირებული იყო, პრობლემას არ წარმოადგენდა. თემატურ გადაფარვებთან დაკავშირებით, დაწესებულების წარმომადგენელმა, განმარტა, რომ წარმოადგენდა შედარებით უფრო შრომატევად საქმეს, თუმცა ინსტიტუციის წარმომადგენლები უკვე მუშაობდნენ აღნიშნულ საკითხზე. დაწესებულების

წარმომადგენელმა, მანანა გაბაშვილმა ასევე ისაუბრა, რეკომენდაციაზე, რომელიც შეეხებოდა სასწავლო კურსს ,,თანამედროვე ტენდენციები სოციალურ მეცნიერებებში“ და აღნიშნა, რომ თავად იყო სასწავლო კურსის განმახორციელებელი და ავტორი, ასევე კურსი ითვალისწინებდა მის განხორციელებაში ოთხი „სტუმარი-ლექტორის“ ჩართვას, საკითხების უფრო სიღრმისეულად და განსხვავებული ხედვით მიწოდების მიზნით. ხოლო ოთხიდან ორი ლექციის თემატიკა და ლექტორები უკვე განსაზღვრული იყო. რაც შეეხება მე-9 და მე-10 ლექციებს, დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით თემები მიეძღვნება სტუდენტების მიერ შერჩეულ საკითხებს ეკონომიკის, სოციოლოგიის, პოლიტიკური მეცნიერებების ან სოციალური მეცნიერებების სხვა დარგიდან, რაც ასევე ხელს შეუწყობს სასწავლო კურსის მაქსიმალურად მორგებას სტუდენტთა ინტერესებზე და სწორედ ამიტომ, ამ მომენტისთვის არც თემა და არც „სტუმარი-ლექტორი“ მითითებული არ არის. მან ასევე ხაზი გაუსვა, რომ „ზოგად განათლებას“, როგორც პროგრამის ერთ-ერთ შედეგში იყო ინგლისური ენიდან გადმოთარგმნით გამოწვეული ტექნიკური ხარვეზი და უნდა იყოს „მრავალმხრივი ცოდნა“.
დაწესებულების წარმომადგენელმა, თინა ჩხეიძემ განმარტა, რომ თავად ასწავლიდა „სოციალური ფსიქოლოგიის“ კურსს, რომელიც შედგება „შესავალი სოციალური ფსიქოლოგისა“ , „სოციალური ფსიქოლოგია 1“ და „სოციალური ფსიქოლოგია 2“-სგან. გარდა ამისა დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ აქტიური მონაწილეობა მიიღო დასკვნითი სასწავლო პროექტის შემუშავებაში. სასწავლო კურსი „შესავალი სოციალური ფსიქოლოგიაში“ არის მარტივი ცოდნის მიღება, სად არ არის არანაირი კვლევითი ელემენტები. „სოციალური ფსიქოლოგია 1“-დან კარგად ჩანს სილაბუსებში როგორ ხდება თეორიების არა რეფერირება, არამედ ერთმანეთთან შედარება. ეს არის მეორადი კვლევის ელემენტები, რომლებიც ნებისმიერ კვლევაში მონაწილეობს. ხოლო „სოციალური ფსიქოლოგია 2“დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, აგებული იყო ინტერდისციპლინური კუთხით, რადგან მისთვის საინტერესო იყო სოციალურ ფსიქოლოგიაში დაგროვილ ცოდნას როგორ გამოიყნებედნენ სტუდენტები. სილაბუსი დაყოფილია სამ კომპონენეტად. რაც შეეხება, დასკვნით სასწავლო პროექტს, დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, აღნიშნული წარმოადგენდა მთელი იმ ცოდნის და უნარების გამოყენებას, რაც სტუდენტმა შეისწავლა 4 წლის განმავლობაში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს წევრმა, გიორგი ღაღანიძემ აღნიშნა, რომ წარმოდგენილ მასალებში ვერ ნახა შრომის ბაზრის კვლევა. მისი თქმით იყო დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავდა დავალებას აღნიშნული კვლევის ჩატარებაზე. საბჭოს წევრი დაინტერესდა იყო თუ არა კვლევა ჩატარებული და რა ტიპის ანალიზი იყო გაკეთებული. გარდა ამისა საბჭოს წევრმა განმარტა, რომ ერთ-ერთი კონცენტრაცია იყო საჯარო მმართველობა. საბჭოს წევრის მოსაზრებით „საჯარო მმართველობა“ როგორც სპეციალობა კლასიფიკატორის ჩარჩოს მიხედვით იყო სხვაგან, მენეჯმენტის და ადმინისტრირების ქვეშ, ამდენად ხომ არ ფიქრობდა ინსტიტუცია, რომ ამ ტერმინის გამოყენება, შესაძლებელია გარკვეულ დაბნეულობასს იწვევდეს ბაკალავრებში. საბჭოს წევრმა ასევე დააფიქსირა, მოსაზრება, რომ სასწავლო კურსის „შესავალი ეკონომიკაში“ ერთ სემესტრში ათვისება რთული იქნებოდა, რადგან „მენქიუს“ სახელმძღვანელოს სხვადასხვა უნივერსიტეტებში ორ სემესტრად ასწავლიან. ასევე იგივე სახელმძღვანელო არის მითითებული საჯარო მმართველობის ეკონომიკაში, სადაც შესაძლებელია იყოს გარკვეული გადაფარვები და როგორ მოხდება აღნიშნული გარემოების თავიდან აცილება. ასევე საბჭოს წევრმა, ბრძანა, რომ „ადამინის რესურსების მართვის“ სასწავლო კურის ხილვა პრე-რეკვიზიტის გარეშვე მისთვის გასაკვირი იყო, რადგან როგორც წესი ჯერ ისწავლება მენეჯმენტის საფუძვლები, ხოლო შემდგომ გამოიყენება „ადამიანური რესურსების მართვის“ წინაპირობად.
საბჭოს წევრმა, ეკატერინე ნაცვლიშილმა აღნიშნა, რომ მისი მოსაზრებით სწავლის შედეგებში, არამხოლოდ ტრანსფერულ უნარებთან დაკავშირებული სწავლის შედეგები იყო გადასახედი,

არამედ გადასახედი იყო სწავლის შედეგები არსებული ფორმულირებით რამდენად იყო მიღწევადი და გაზომვადი. გარდა ამისა, საბჭოს წევრის განმარტებით ცალკეულ სილაბუსებში ფორმულირებული სწავლის შედეგები სხვა პრინციპით იყო ჩამოყალიბებული. საბჭოს წევრი დაინტერესდა, თუ რა განმარტებას გააკეთებდა ამასთან დაკავშირებით ინსტიტუცია.
დაწესებულების წარმომადგენელმა, თედო სანიკიძემ, სასწავლო კურსის „საჯარო მმართველობასთან“ დაკავშირებულ შეკითხვას უპასუხა და აღნიშნა, რომ ეკონომიკა საკმაოდ დიდი თემაა და სილაბუსშიც იყო შესაძლებელი იმის ნახვა, რომ წიგნი სრულად არ იფარებოდა ამ ნაწილში. ხოლო აღნიშნული წიგნი („მენქიუ“) არ იფარებდა სრულად „საჯარო მმართველობის“ სასწავლო კურსში, სწორედ ამიტომ იყო „საჯარო სექტორის ეკონომიკაში“ მნიშვნელოვან წილად გამოყენებულია იგივე წიგნი, იმ ნაწილებში სადაც შესაძლებელი იყო ვერ დაფარულიყო საკითხები ერთ სემესტრიან სასწავლო კურსში. რაც შეეხება „ადამიანის რესურსების მართვას“ დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, სტუდენტები აღნიშნულ საგნამდე სწავლობენ „ფსიქოლოგიას“ სავალდებულო სახით, ასევე საჯარო მმართველობის მაინორის ფარგლებში, რომელშიც ეს საგანი ხორციელდება, ისინი სწავლობენ ზოგად მენეჯმენტს, როგორც სავალდებულო კომპონენტს, ლიდერობას და ეთიკას, ასევე პროექტის მენეჯმენტს, სადაც ის ძირითადი საკითხები, როგორც მოტივაციის და ორგანიზაციული, რაც „HR მენეჯმენტის“ წინაპირობა უნდა იყოს დაფარულია სრულად. შესაბამისად სტუდენტებს ამ საგნის ათვისება არ უწევთ წინარე ცოდნის და საფუძვლების არსებობის გარეშე.
საბჭოს წევრმა, ეკატერინე ნაცვლიშვილმა დაამატა, რომ სასწავლო კურსს არ ეწერა პრე-რეკვიზიტები, წერია, რომ კურსს წინაპირობა არ აქვს. ასევ, საბჭოს წევრის მოსაზრებით „ადამიანური რესურსების მართვა“ მითითებული ძირითადი ლიტერატურა ნაკლებად გამოსადეგია, სასწავლო კურსის შინაარსის გათვალისწინებით.
დაწესებულების წარმომადგენელმა, თედო სანიკიძემ „HR მენეჯმენტის“ ნაწილში აღნიშნა, რომ სავარაუდოდ იყო ტექნიკური ხარვეზი, რადგან აუცილებლად უნდა იყოს მითითებული წინაპირობები. ხოლო რაც შეეხება, „HR მენეჯმენტის“ ლიტერატურას, საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ შემუშავებული ღირებული დოკუმენტებით იფარება საგანში ადმინისტრაციული და სამოხელეო სამართალი, სადაც მოცემულია ბევრი ინფორმაცია ამ მიმართულებით, მათ შორის საჯარო დაწესებულებებში ადამიანური მართვის პოლიტიკასთან და დოკუმენტებთან მიმართებაში.
დაწესებულების წარმომადგენელმა, დავით წასიძემ აღნიშნა, რომ როდესაც ინსტიტუცია მუშაობდა აღნიშნული პროგრამის აკრედიტაციაზე, იანვრის თვეში ჩატარდა კვლევა იმ დამატებითი სპეციალობების მიმართულებით, რომელსაც ეს პროგრამა ითვალისწინებს. გარდა ამისა, დაწესებულების წარმომადგენელმა ხაზი გაუსვა, რომ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში იყო 2019 წელს მაშტაბური შრომის ბაზრის ჩატარებასთან დაკავშირებულ ხელშეკრულება. ხელშეკრულება გამოგზავნილი იყო, იმ მიზეზით, რომ კვლევა ჩატარებული იყო 4 პარტნიორი უნივერსიტეტის მიერ და იქიდან გამომდინარე, რომ კვლევის დამკვეთ ავტორებს არ აქვთ თანხმობა, მისი შედეგების გაზიარებაზე, შესაბამისად ინსტიტუციის წარმომადგენლებმა, თავი შეიკავეს მისი გასაჯაროებისგან და მხოლოდ ამ მიზეზის გათვალისწინებით არ წარედგინა შედეგები საბჭოს წევრებს და ექსპერტებს. საჯარო მმართველობის დამატებითი სპეციალობის შემოტანის საკითხთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელი აღნიშნავს, რომ მათი კვალიფიკაციათა ჩარჩო დამატებითი სპეციალობის აღების შესაძლებლობას იძლევა არა მხოლოდ იმ ქუდიდან, რომელსაც ეკუთვნის მათი კვალიფიკაცია ჩარჩო. მსგავს პრაქტიკას იზიარებს არაერთი საგანმანათლებლო პროგრამა და დამატებით სპეციალობები აბოლიტურად სხვა მიმართულებიდან აქვთ შემოღებული და სტუდენტები როდესაც მოდიან, მათ დეტალურად ეცნობებათ, რომ ის სპეციალობა, რომელსაც 30-დან 60 კრედიტის ფარგლებში დაეუფლებიან არ არის მათთვის კვალიფიკაციაზე გამყვანი და ამ კვალიფიკაციას ის ადამიანები არ ღებულობენ, ან მათი კვალიფიკაცია არის სოციალური მეცნიერებები. უბრალოდ, საჯარო მმართველობა არის ის დარგი, რომელშიც ეს სტუდენტები უფრო ფართო ცოდნას მიიღებენ.

დაწესებულების წარმომადგენელმა, მანანა გაბაშვილმა დაამატა და განმარტა, რომ ტრანსფერული უნარები თავისი პერსონალური შეცდომის მაგალითად მოიყვანა. რაც შეეხებოდა მთლიანად რეკომენდაციას სწავლის შედეგების რეფორმულირების შესახებ, მან უკვე აღნიშნა, რომ ეს დაწესებულებისთვის მისაღები იყო და ამ საკითხზე უკვე დაიწყეს მუშაობა.

საბჭოს წევრმა, გიორგი ღაღანიძემ აღნიშნა, რომ მიიღო დაწესებულების განმარტება შრომის ბაზრის ანალიზის ჩატარების თაობაზე და სჯერა, რომ ნამდვილად ჩატარდა. მაგრამ რისთვის ჩატარდა ეს ანალიზი, როგორც შეეძლო მას, როგორც საბჭოს წევრს, შრომის ბაზრის მოთხოვნების აუცილებელ გათვალისწინებასთან დაკავშირებით საგანმანათლებლო პროგრამაში. იმიტომ, რომ უნდა არსებობდეს ფაქტობრივი მასალა და იქნებ რამენაირად დაერეგულირებინათ ეს საკითხი პარტნიორ უნივერსიტეტებს. რეალურად გამოდიოდა, რომ სტანდარტი ითხოვდა აღნიშნულს და სახეზე იყო მისი შეუსრულებლობა. მეორე ხარისხოვანი იყო ის საკითხი, რომ დაწესებულებამ პარტნიორ უნივერსიტეტებთან ვერ მოილაპარაკა. საბჭოს წევრმა განმარტა, რომ მისი შეკითხვა საჯარო მმართველობაზე არ ეხებოდა ჩანაწერის საკითხს, არამედ იმას, რომ არ მომხდარიყო შეცდომაში შეყვანა და გასაგები იყო, რომ სოციალურში მეცნიერებებში ხდებოდა მინიჭება. საბჭოს წევრმა დაწესებულებას მიმართა, შრომის ბაზართან დაკავშირებით შეეთავაზებინათ გადაწყვეტილება.

დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ შრომის ბაზართან დაკავშირებით ინსტიტუცია რა თქმა უნდა ყოველწლიურად ატარებს იმ პროგრამების მიხედვით შრომის ბაზრის გამოკითხვას და მიაჩნიათ, რომ ძალიან მნიშვნელოვანი საკითხია და უნივერსიტეტი შესაბამის დონეზე უზრუნველყოფს, რომ ის განხორციელდეს, რადგან მათი ინტერესია, რომ ის მოთხოვნები და მოლოდინი, რაც შრომის ბაზარს აქვს, გათვალისწინებული იქნეს პროგრამაში და კურსდამთავრებულები იყვნენ ამ მოთხოვნებისა და კვალიფიკაციის მატარებლები, რომელსაც მათ შემდგომში დაუყენებს შრომის ბაზარი. დაწესებულების წარმომადგენელი აღნიშნავს, რომ მათ მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან გამომდინარე, ჩატარებული იყო შრომის ბაზრის ანალიზი, და ანგარიში წარმოდგენილი იყო დამატებითი სპეციალობების მიმართულებით და პროგრამა, რომელიც არსებული სახით არის წარმოდგენილი, ამავე შინაარსით იყო წარმოდგენილი 2012 წელს, როდესაც მას პირველადი აკრედიტაცია მიენიჭა. იმ შემთხვევაშიც გათვალისწინებული იყო 5 დამატებითი სპეციალობა, მათ შორის ერთ-ერთი იყო საჯარო მმართველობის მიმართულება. გამომდინარე აკრედიტაციის ჩანაწერიდან, რომ სამ პროგრამაზე მეტზე არ ყოფილიყო პროგრამა აფილირებული, მოხდა დანარჩენი ორი მიმართულების ამოღება და საჯარო მმართველობის და დანარჩენი ორი მიმართულების დატოვება.

საბჭოს წევრმა, თამარ ჩხეიძემ რჩევით მიმართა დაწესებულებას და აღნიშნა, რომ პროგრამაში დაშვების წინაპირობაში, პროგრამის აღწერის დოკუმენტში დაკონკრეტებულია, რომელი გამოცდები უნდა ჩაბარდეს ერთიანი ეროვნული გამოცდების ფარგლებში. ცნობილი იყო, რომ მიმდინარეობდა ერთიანი ეროვნული გამოცდების დებულების გადამუშავება, სადაც სავალდებულო გამოცდების სპექტრის გაფართოება მოხდება და შესაძლოა საერთოდ აღარ დადგეს არსებული ჩანაწერის საჭიროება და ცვლილების შემთხვევაში, ყოველ ჯერზე პროგრამაში ცვლილების შეტანა აღარ გახდება საჭირო. საბჭოს წევრმა ასევე აღნიშნა, რომ პროგრამაში და შვების წინაპირობა რამდენიმე აბზაცად არის მოცემული და ერთიანი აქტით და პროცედურით რეგულირდება ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე პირების ჩარიცხვა და უცხო ქვეყნის საგანმანათლებლო დაწესებულებიდან გადმოსვლა, ან უცხო ქვეყანაში განათლების მიმღები პირის ჩარიცხვა. ერთი და იგივე რეგულაცია ვრცელდებოდა მე-3 და მე-5 აბზაცზე. მარტივად აღსაქმელად ალბათ უფრო სასურველია აღნიშნული ორი ჩანაწერის გაერთიანება. შედეგების და მიზნების აღწერისას ჩანაწერში აღნიშნულია, რომ „ფლობს ფართო, ზოგად განათლებას“. გასაგებია ცოდნის ფლობა, მაგრამ უხერხულად ჟღერს განათლების ფლობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა, მანანა გაბაშვილმა უპასუხა, რომ მართალია, უნდა იყოს მრავალმხრივი განათლება. ხოლო, როდესაც შეიცვლება ერთიანი ეროვნული გამოცდების სპექტრი, დაწესებულება რა თქმა უნდა დაემორჩილება მას.
დაწესებულების წარმომადგენელმა, დავით წასიძემ კომენტარი გააკეთა და აღნიშნა, რომ პროგრამა საჯარო დოკუმენტია, რომელიც ერთგვარად დაწესებულების კომუნიკაციის წყაროა იმ ადამიანებთან, ვისა სურვილი აქვს, რომ სწავლა გააგრძელონ პროგრამაზე. ეს ჩანაწერი გაკეთებულია მათთვის, მათი ინფორმირებისათვის, რომ იცოდნენ, პროგრამიდან გამომდინარე, რა საგნების ჩაბარება მოუწევთ ერთიანი ეროვნული გამოცდების ფარგლებში. თუ ერთიანი ეროვნული გამოცდების ნაწილში იქნება მნიშვნელოვანი ცვლილება, რასთან შესაბამისობაშიც იქნება პროგრამა მოსაყვანი, ცალსახად მოვიყვანთ ამ შესაბამისობაში.
საბჭოს წევრმა, ეკატერინე ნაცვლიშილმა აღნიშნა, რომ რამდენიმე სილაბუსში ძირითად სასწავლო ლიტერატურაში მითითებულია ლექტორის მიერ მომზადებული საპრეზენტაციო მასალა, მაგალითად „პროექტის მართვის“ სილაბუსი, სადაც ორი სასწავლო რესურსია მითითებული. „პროექტის მართვის პრინციპები“ სახელმძღვანელო, რომელიც წარმოადგენს ინსტრუქციას და არა სახელმძღვანელოს. ხოლო მეორე რესურსად მითითებულია, ლექტორის მიერ მომზადებული მასალები. საბჭოს წევრი დაინტერესდა, ამ ჭრილში გადამოწმდა თუ არა ექსპერტთა ჯგუფის მიერ, ლექტორების მომზადებული მასალები.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ირაკლი მანველიძემ განმარტა, რომ ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო და გადამოწმების პრინციპის საფუძველზე დადასტურდა რიდერების არსებობა.
ექსპერტთა ჯგუფის წევრი, ემზარ ჯგერენაია გამოეხმაურა საბჭოს წევრის, ეკატერინე ნაცვლიშვილს და აღნიშნა, რომ ზოგადი სიტუაციაა ქვეყანაში ის, რომ არ არის საკმარისი მასალა ქართულ ენაზე. მაგალითად, მას გაკეთებული აქვს სახელმძღვანელო ერთი უცხოელის სახელმძღვანელოზე, მითითებით და მასალით. პოზიტიურია, როდესაც პროფესორი ამდენ ენერგიას დებს საგანში. იგი თვლის, რომ დაწესებულებას ამ თვალსაზრისით გაწეული აქვს სამუშაოები.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 18:05
დასრულების დრო: 18:50

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0
აკრედიტაციის საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაციები

საბჭომ რეკომენდაციები და რჩევები ჩამოაყალიბა შემდეგი ფორმულირებით:
რეკომენდაციები:
1.რეკომენდებულია, კომენდირებულია, პროგრამის სწავლის შედეგებში მკაფიოდ გაიმიჯნოს ცოდნა და გაცნობიერებისა და უნარების, უნარებისა და პასუხისმგებლობა და ავტონომიურობის ნაწილები, ასევე მიზანშეწონილია სწავლის შედეგების რეფორმულირება, რათა არ იყოს ბუნდოვანი, ძნელად გასაზომი და შესაფასებელი;
2. რეკომენდირებულია პროგრამის სწავლის შედეგები შესაბამისობაში მოვიდეს თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნებთან;
3. რეკომენდირებულია მკაფიოდ განისაზღვროს პროგრამის სწავლის შედეგების სამიზნე ნიშნულები;
4. რეკომენდებულია სასაწავლო კურსში ,,თანამედროვე ტენდენციები სოციალურ მეცნიერებებში“ გაიწეროს მე-9 და მე-10 კვირის სავარაუდო თემატიკა;

5. რეკომენდირებულია რიგ სასწავლო კურსებში სწავლის შედეგების რეფორმულირება სწავლების საფეხურის შესაბამისად;
6. რეკომენდებულია რიგ სასწავლო კურსებში დაზუსტდეს დაშვების რელევანტური წინაპირობები;
7. რეკომენდებულია გადაიხედოს რიგი სასწავლო კურსების შინაარსი, რათა აღმოიფხვრას დუბლირებები;
8. რეკომენდირებულია რიგ სასწავლო კურსებში განახლდეს ლიტერატურა კურსის თემატიკის და სპეციფიკის გათვალისწინებით;
9. რეკომენდებულია, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვარი №3 ბრძანების მე-4 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, შემდეგი სასწავლო კურსების: 1.ფსიქოლოგიის საფუძვლები; 2.საზოგადოების აზროვნების ფილოსოფიური საფუძვლები; 3.შესავალი ეკონომიკაში; 4.შესავალი პოლიტიკის მეცნიერებებში; 5.საზოგადოებასთან ურთიერთობების საფუძვლები; 6.საგარეო და თავდაცვის პოლიტიკა; 7.პოლიტიკური იდეოლოგიები; 8.შესავალი საერთაშორისო ურთიერთობათა თეორიაში და 9.ევროკავშირის პოლიტიკა - სილაბუსებში დასკვნითი გამოცდების შეფასების მეთოდები იყოს დაკონკრეტებული შესაბამისი შეფასების კრიტერიუმებითა და რუბრიკით;
10. რეკომენდებულია ამოქმედდეს შიდა ხარისხის მონიტორინგის მექანიზმები სწავლის შედეგების მიღწევადობის უზრუნველსაყოფად;
11. რეკომენდირებულია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა პერიოდულად განახორციელოს პროგრამის სწავლის შედეგების (ცოდნა, უნარები, პასუხილმგებლობა და ავტონომიურობა) მიღწევის მონიტორინგი და უზრუნველყოს ყველა დაინტერესებული მხარის ჩართულობა;

რჩევები:

- სასურველია, დამატებითი სპეციალობის სწავლის შედეგები უფრო მეტად განსხვავდებოდეს ერთმანეთისგან და მეტად ითვალისწინებდეს კონკრეტული დარგის სპეციფიკას
- სასურველია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ მეტად გააქტიურდეს მუშაობა პროგრამის მოწვეულ და აკადემიურ პერსონალთან სწავლის შედეგების მართებულად ჩამოყალიბების (მოქმედების გამომხატველი, აქტიური ზმნებით, რათა შესაძლებელი იყოს მათი გაზომვადობა) მიზნით, რაც შემდგომ ეტაპზე გაამარტივებს პროგრამის მონიტორინგისა და შეფასების პროცესებს სწავლის შედეგებთან მიმართებით

გადაწყვეტილება:

უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-3^1 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3^1 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხ ლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, საბჭომ გადაწყვიტა მიენიჭოს ა(ა)იპ - ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის “სოციალური მეცნიერებების” საბაკალავრო პროგრამას აკრედიტაცია 7 წლის ვადით, 1 წელიწადში ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

მეოთხე საკითხი: ა(ა)იპ - ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის "საერთაშორისო ურთიერთობების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	**ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	საერთაშორისო ურთიერთობების სამაგისტრო პროგრამა
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	27.11.2012; გადაწყვეტილება №714
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	საერთაშორისო ურთიერთობების სამაგისტრო პროგრამა
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე-7
9	კვალიფიკაციის დასახელება	საერთაშორისო ურთიერთობების მაგისტრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	პოლიტიკის მეცნიერებები და მოქალაქეობრიობის საფუძვლები; 0312
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
14	განხორციელების ადგილი	რ. თაბუკაშვილის ქ. N27, ქ. თბილისი, 0108, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

√ დიახ

თვითაცილება განაცხადა თეონა მატარაძემ. თვითაცილების საფუძველს წარმოადგენდა შრომითი ხელშეკრულების არსებობა დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას,

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეოთხე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ნინო ფავლენიშვილმა საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:

1. (1.2) რეკომენდებულია პროგრამის სწავლის შედეგის გადახედვა და დაზუსტება (კონკრეტულად, მეტი აქცენტის გაკეთება პოლიტიკის მიმართულებასა და საერთაშორისო უსაფრთხოებაზე და, შესაბამისად, პროგრამის გაძლიერებაზე აღნიშნული მიმართულების კურსებით);
2. (2.1) რეკომენდებულია, პროგრამის მიღების წინაპირობად განისაზღვროს (ზეპირი ან/და წერითი საგამოცდო ფორმატით ჩატარებული) ინგლისურ ენაში B2 დონის მოთხოვნა ან ჩატარდეს ინგლისური ენის ფლობის დონის დასადგენი ტესტი;
3. (2.1) რეკომენდებულია, პროგრამის მიღების წინაპირობის გამოცდის/გასაუბრების ფორმატი იყოს გამჭვირვალე, პროცედურისა და შეფასების მკაფიო კრიტერიუმებისა და რუბრიკის მითითებით.
4. (2.2) რეკომენდებულია, სამართლის საგნების ნაწილის ჩანაცვლება საერთაშორისო უსაფრთხოებისა და პოლიტიკის კურსებით, რითაც მნიშვნელოვნად გაძლიერდებოდა ცოდნა საერთაშორისო ურთიერთობების დარგში; (მაგ. დაემატოს სავალდებული სტატუსით კურსი - საერთაშორისო უსაფრთხოება და დარგის სხვა კურსები);
5. (2.2) სწავლის ერთ-ერთი და ყველაზე მნიშვნელოვანი შედეგია სამაგისტრო ნაშრომის წარმატებით შექმნა (კვლევა, დაწერა აკადემიური წერის სტანდარტის მიხედვით) და დაცვა. შესაბამისად, რეკომენდებულია აკადემიური წერის კურსის დამატება სავალდებულოს სტატუსით;
6. (2.2) რეკომენდებულია, საგანებს, ომი და სტრატეგიები, ტერორიზმი და უსაფრთხოება, შეეცვალოს სტატუსი (გახდეს არჩევითი);
7. (2.3) რეკომენდებულია, სასწავლო კურსებში არსებული ყველა სავალდებულო ლიტერატურა შეესაბამებოდეს სწავლების საფეხურს და უზრუნველყოფდეს ცალკეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგების მიღწევადობას; (იგულისხმება სილაბუსების გადახალისება: ლიტერატურის გაახლება, გამრავალფეროვნება, საკითხავი მასალის სწორად მითითება, შეფასების რუბრიკების გასწორება, ქეისების შესწავლის დამატება);
8. (2.3) რეკომენდირებულია, შეიცვალოს საგნების - ომი და სტრატეგიები, ტერორიზმი და უსაფრთხოება, სათაური, რათა მოვიდეს შესაბამისობაში კურსში განხილულ თემებთან;
9. (2.3) რეკომენდირებულია, შინაარსობრივად შეიცვალოს კურსი - კვლევის მეთოდები და აკადემიური წერა; კურსი მთლიანად უნდა იყოს კვლევის მეთოდოლოგიებზე (თვისებრივი და რაოდენობრივი) მორგებული;
10. (2.3) აუცილებელია, დაზუსტდეს და გასწორდეს საგნების მიზნები და მოვიდეს თანხმობაში კონკრეტული საგნის ფარგლებში შესასწავლ თემებთან;

11. (2.4) რეკომენდებულია, დაცულ სამაგისტრო ნაშრომებში გამოყენებული აკადემიური ლიტერატურის მითითებისა და ნაშრომის გაფორმების წესი სრულად შეესაბამებოდეს დაწესებულების მიერ შერჩეულ APA ან Chicago Style სტანდარტებს;
12. (2.4) რეკომენდირებული, ყველა დაცულ სამაგისტრო ნაშრომში კვლევის დიზაინისთვის აუცილებელი კომპონენტებისა და მათი თანამიმდევრულობის არსებობა (მათ შორის კვლევის მიზნები, ამოცანები, კვლევის კითხვები, ჰიპოთეზები, კვლევის მეთოდები და სხვა) იყოს უზრუნველყოფილი; მიზნის მიღწევა შესაძლებელია აკადემიური წერის კურსის დამატებითა და კვლევის მეთოდებისა და აკადემიური წერის კურსის მოდიფიცირებით;
13. (2.5) გუნდური მუშაობის ელემენტის ჩართულობა უნდა გაძლიერდეს ყველა კურსში, სადაც კი ეს შესაძლებელია; ჯგუფურად მუშაობის კომპონენტის განვითარება მნიშვნელოვანია, რადგან ის არის სწავლის ერთ-ერთი შედეგი;
14. (2.6) რეკომენდებულია, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვარი №3 ბრძანების მე-4 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, შემდეგი სასწავლო კურსების - 1. თავდაცვის ეკონომიკა; 2. ევროკავშირის სამართალი, 3. კავკასია XIX-XX: ოკუპაციის, კონფლიქტებისა და საზოგადოებრივი განვითარების ისტორია, 4. საერთაშორისო ურთიერთობების თეორია, 5. საერთაშორისო სამართალი, 6. საერთაშორისო 9 სახელშეკრულებო სამართალი, 7. საერთაშორისო საინვესტიციო სამართალი, 8. ტერორიზმი და უსაფრთხოება და 9. შედარებითი პოლიტიკა, სილაბუსებში დასკვნითი გამოცდების შეფასების მეთოდები იყოს დაკონკრეტებული შესაბამისი შეფასების კრიტერიუმებითა და რუბრიკით;
15. (4.1) რეკომენდირებულია, აკადემიური პერსონალის დატვირთვის სქემაში აისახოს ინფორმაცია კვლევით-სამეცნიერო ღონისძიებებში ჩართულობის შესახებ;
16. (5.3) რეკომენდებულია, პროგრამის თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანისა და საუკეთესო საერთაშორისო და ადგილობრივი პრაქტიკის გამოყენების მიზნით, პერიოდულად ხდებოდეს პროგრამის დადარება უცხოური და ადგილობრივი უნივერსიტეტების ანალოგიურ პროგრამებთან და აღნიშნული პროცესის ფორმალიზებაც (დოკუმენტური დადასტურება).

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა, თორნიკე შარაშენიძემ მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს და აღნიშნა, რომ არის რეკომენდაციები, რომელთაც ისინი იზიარებენ, მაგალითად ინგლისურის შემოწმება გამოცდებზე, ამას შეიძლება აბსოლიტურად და დაეთანხმონ და დაამკვიდრონ კიდევაც. ასევე შეიძლება, რომ სილაბუსებში ფორმალურად გაწერონ ჯგუფური სამუშაო, რომელიც ბევრ სილაბუსში არ არის, მაგრამ ჯგუფური სამუშაოები და ვარჯიშები რა თქმა უნდა მიმდინარეობდა. დაწესებულების წარმომადგენელი აღნიშნავს, რომ ექპერტთა ჯგუფის დასკვნაში საუბარია მისაღებ გამოცდაზე გაუმჭვირვალობის პრობლემაზე და ბოლომდე გაუგებარია მისთვის, თუ რა არის გაუმჭვირვალე. ასევე იყო მე-14 შენიშვნა, სადაც გაწერილი იყო მთელი რიგი საგნების და ეწერა, რომ არ შეესაბამებოდა სტანდარტებს. როდესაც დაწესებულებამ შეკითხვით მიმართა ექსპერტთა ჯგუფს, რა იგულისხმებოდა აღნიშნულში, დაწესებულების წარმომადგენლებმა ვერ მიიღეს კონკრეტული პასუხი და ეს ეხებოდა კიდევ რამდენიმე შენიშვნას. უსაფრთხოების კომპონენტის გაძლიერებაზე იყო საუბარი და კონკრეტულად იმაზე, რომ დამატებულიყო უსაფრთხოების საგანი, რასთან დაკავშირებითაც დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ უსაფრთხოებას გადიან მათი სტუდენტები და ეს თემა რამდენიმე საგანშია ჩაშლილი, მათ შორის სწორედ „ტერორიზმი და უსაფრთხოებაშ“ და „ომი და სტრატეგიაში“. ამ კონტექსტში გაუგებარი იყო დაწესებულების წარმომადგენლისათვის, იმ ორი საგნის არჩევით საგნებად გადატანა, რომელიც ფარავს უსაფრთხოების საკითხებს. მან ასევე ისაუბრა, რომ სილაბუსების ლიტერატურის განახლება

მიმდინარეობს მუდმივად და რაც შეეხება ფორმალიზებას, საგნები, რაც იყო თავის დროზე შეათანხმეს და მოილაპარაკეს ვროცლავის უნივერსიტეტთან, ასევე მჭიდრი ურთიერთობა და თანამშრომლობა ჰქონდათ ამერიკაში ტროი უნივერსიტეტთან. მათთან მოილაპარაკეს ბაკალავრიატში ორმაგ დიპლომზე. სამწუხაროდ არავინ არ ისარგებლა საქართველოში, რადგან იქაური ბაკალავრის ფასები ძალიან მაღალი იყო, მაგრამ ამავე დროს მიმდინარეობდა მუშაობა, იქაური მაგისტრატურის პრაქტიკის მათთან წამოღებაზე. დაწესებულების წარმომადგენელმა ასევე ისაუბრა, რომ არსებობდა რეკომენდაცია, რომ შეემცირებინათ სამართლის და დაემანტებინათ უსაფრთხოების საგნები. თუმცა, სამართლის საგნებით მათი კურიკულუმის გაჯერება იყო პროგრამის თავისებურება. მან აღნიშნა, რომ თუ ექსპერტთა ჯგუფს მიაჩნდა, რომ მათ პროგრამა საჭიროებდა დაბალანსებას, მათ შორის სავალდებულო საგნებით, ამაზე შეიძლებოდა საუბარი, მაგრამ როდესაც საუბარი იყო პროგრამის უსაფრთხოებით და პოლიტიკით გაჯერებაზე და ამავდროულად არსის რეკომენდაცია, ტერორიზმი და ომი გადაიხანონ არჩევით საგნებში, გაუგებარია დაწესებულების წარმომადგენლისთვის. სადიპლომო ნაშრომებთან დაკავშირებით არსებულ რეკომენდაციაზე დაწესებულების წარმომადგენელი განმარტავს, რომ სადიპლომო ნაშრომები, რომლებიც შეამოწმეს ესპერტებმა, ძირითადად საშუალო მოსწრების სტუდენტების იყო და მათი უმეტესობა შეფასებული იყო „სი“-თ და ექსპერტთა შენიშვნები ეყრდნობოდა აღნიშნული საშუალო დონის მოსწრების მქონე სტუდენტთა ნაშრომებს. აკადემიური წერის სავალდებულო საგნად დამატებასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელი განმარტავს, რომ ეს ნიშნავს იმას, რომ სავალდებულო საგნები უნდა მოაკლონ უსაფრთხოებას, დიპლომატიას და ასე შემდეგ საგნებს, აკედემიური წერა ჩასვან, როდესაც აკადემიური წერა აბსოლიტურად ყველა ბაკალავრში ისწავლება. მათ შეეძლოთ, რომ აკადემიური წერის ელემენტი გაეზარდათ კვლევის მეთოდების საგანში, იმიტომ, რომ ორი საგანი აკადემიური წერა და კვლევის მეთოდები ამცირებდა მათ კურიკულუმში სპეციალობის საგნებს, რაც საკმაოდ სერიოზული პრობლემა იქნებოდა.
დაწესებულების წარმომადგენელმა, ზვიად ბარქაიამ საგანთან „ომი და სტრატეგია“ დაკავშირებით გამოთქმულ რეკომენდაციებზე ისაუბრა და აღნიშნა, რომ ამ საგნის არჩევით საგნად გადატანასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა, თორნიკე შარაშენიძემ უკვე ისაუბრა, ხოლო საგნის დასახელებისა და შინაარსის ნაწილში არარელევანტურობას არ ეთანხმებოდა. ძირითადად ლიტერატურას უსაფრთხოების ნაწილში კურსი მთლიანად მოიცავდა. მნიშვნელოვნად იყო დაფარული ის „ქეისები“, რომლებიდანაც ცდილობენ დაწესებულების წარმომადგენლები, რომ დაფარონ ომის თეორიის რამდენიმე მიმართლება. ეს არის ომის კოგნიტური მხარე, ადამიანის ბუნების, თვითგადარჩენის პრინციპი და ძალაუფლებისკენ სწრაფვის პრინციპი და ასე შემდეგ. დაწესებულების წარმომადგენელი თვლის, რომ სილაბუსში აღწერილი ლიტერატურა, ამავდროულად, სილაბუსის განფენილობა და სახელი- „ომი და სტრატეგია“, მეტად თ ნაკლებად არის რეკევანტური. ლიტერატურის განახლებასტან დაკავშირებით, მათ საუბარი ჰქონდათ რამდენიმე თვის წინ ექსპერტებთან და მათი რეკომენტაცით სხვა საგნებზე მნიშვნელოვანწილად იყო გათვალისწინებული მათი რეკომენდაციები სილაბუსის განახლებასთან დაკავშირებით და ამ საკითხზეე მუშაობენ, ისევე, როგორც ყოველ წელს კურსის დაწყებამდე.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს წევრმა, გიორგი ღაღანიძემ აღნიშნა, რომ დეტალურად გაეცნო დაწესებულების პროგრამას, სილაბუსებს და ძალიან კარგი იყო, რომ ეკონომიკური საგნების წინა პირობად წარმოდგენილი იყო საგანი - ეკონომიკა, მაგრამ ეს საგანი ისწავლებოდა ბაკალავრიატის დონის წიგნით. გასაგები იყო, რომ ყველა მოსული სტუდენტი არ იქნებოდა ბიზნეს ადმინისტრირების ბაკალავრი ან ეკონომიკის, მაგრამ რა მოხდებოდა იმ შემთხვევაში, თუ ასე მოხდებოდა, რადგან გამართლებული არ იქნება, რომ ასეთ სტუდენტს კიდევ ერთხელ, „მენქიუ“-თი ესწავლებინათ ეკონომიკა. ასეთ სტუდენტს ნასწავლი ექნებოდა უკვე, როგორც წესი ორ სემესტრად და როგორ

იყო ეს მომენტი გათვალისწინებული დაწესებულების მიერ. საბჭოს წევრი შეეხო ასევე ბიუჯეტის ნაწილს, რომლის ანალიზის საფუძველზეც ჩანდა, რომ ხარჯი წარმოადგენდა შემოსავლის 99%-ს. როგორ ხდებოდა პროგრამის ფინანსური მდგრადობის უზრუნველყოფა. თუნდაც ერთ სტუდენტს რომ შეეწყვიტა სწავლა, სტატუსი შეეჩერებენია უკვე იარსებებდა დისბალანსი შემოსავლებსადა ხარჯებს შორის. სად იყო ის წყარო, რომელიც აღნშნულ გარღვევას დაფარავდა.

საბჭოს წევრმა, ეკატერინე ნაცვლიშვილმა დასვა დამაზუსტებელი შეკითხვა მეთოდოლოგისათან დაკავშირებით. პროგრამის მიზნები, გარკვეული თვალთახედვით, იმეორებდა სწავლის შედეგებს. დამაბნეველი იყო ის, თუ რომელი სწავლის შედეგები იყო შეფასებული, რადგან პროგრამის სწავლის შედეგი ორჯერ იყო გაწერილი, რაღაცით გავდნენ და რაღაცით არ გავდნენ ერთმანეთის, თითქოს მცირედი ტერმინოლოგიით იყო განსხვავებული და არ გავდნენ ერთმანეთს, არსობრივად კი იმეორებდნენ ერთმანეთს და ამავე დროს იმეორებდნენ პროგრამის მიზანს. როგორ ხდებოდა შეფასება, განსაზღვრა, თუ რომელი იყო მიზანი და სწავლის შედეგი, რადგან სასწავლო კურსებს უნდა გაეყვანათ სწავლის შედეგებზე.

საბჭოს წევრმა, დიანა მჭედლიშვილმა შეკითხვით მიმართა დაწესებულებას და აღნიშნა, რომ რეალურად პროგრამის შედეგების ორი ფორმატიდან, ერთი ემსახურება სამი კომპეტენციის მიხედვით დალაგებას, მეორე - გადანომვრას, იმისათვის, რომ თანხვედრაში მიზნებსა და შედეგებს შორის შესაბამისობა დადგენილიყო. მან დაწესებულებას სთხოვა დაეზუსტებინათ აღნიშნულის დანიშნულება. საბჭოს წევრმა აღნიშნა, რომ გადახედა პროგრამის სტრუქტურას და აღნიშნა, რომ დარგისთვის რელევანტური საგნები ისწავლება, თუმცა მიღების წინაპირობაში პირდაპირეწერა ფრაზა, რომ ნებისმიერი სფეროს ბაკალავრის მიღება შეიძლებოდა. რამდენად დაძლევადი იქნებოდა ეს პროგრამა მათემატიკოსისთვის, რომელსაც ეს არანაირად არ ჰქონდა ნასწავლი, მსგავსი საგნებიც კი, ბაკალავრის საფეხურზე. ხომ შეიძლებოდა უფრო ფოკუსირება ყოფილიყო უფრო მომიჯნავე მიმართულებებთან და არა ნებისმიერ სფეროზე.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ბაკურ კვაშილავამ უპასუხა საბჭოს წევრთა შეკითხვებს და აღნიშნა, რომ დასმული შეკითხვები ერთმანეთთან დაკავშირებიალია, რადგან მათ მართლაც არ აქვთ შეზღდვა და ღებულობენ ფართო სპექტრით, შეუზღუდავად სტუდენტებს, რომლებიც მისაღები პროცედურების გათვალისწინებით, როგორიც იყო გასაუბრება, სამოტივაციო წერილი, სამუშაო გამოცდილება და აკადემიური მოსწერება, იმსახურებდნენ იმას, რომ მოხვედრილიყვნენ დაწესებულებაში. ეს შესაძლოა ყოფილიყო, როგორც მათემატიკოსი და ეკონომისტი, ასევე ხელოვნების მუშაკი და ისიც კი ვინც სამხატვრო აკადემია დაამთავრა. ხშირად ყოფილა შემთხვევები, როდესაც სამხატვრო აკადემიის კურსდამთავრებული ან სხვა პროფესიის პირი სადმე ელჩად დაუნიშნავთ. ეს არ იყო გასაკვირი და დაწესებულების მოვალეობა ის იყო, რომ ამ მიმართლებით ვინმე არ შეეზღუდათ. ამიტომ, ნამდვილად ხდებოდა ისე, რომ ადამიანი, რომელიც მიდიოდა ეკონომიკის სფეროდან, უწევდა სავალდებულო საგნის გავლა, რომელიც დაწესებულებას ჰქონდა მოცემული. აქ იყო ორი გარემოება: 1. ხანდახან იმდენი დრო იყო გასული, რომ ძველი გამეორება არავის არ აწყენდა. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ხშირად, მაინცდამაინც ყველაფერი ზუსტად არ ახსოვთ ხოლმე, თუ ეკონომისტი არ არის პირი და ამ პროფესიით არ მუშაობს. 2. როდესაც ლექტორი აწერინებს საკურსოს ან ინდივიდუალურ დავალებას, მოარგებს ხოლმე ამ სტუდენტს და მის მოსწრებას იმგვარად, რომ მისთვის საინტერესო იყოს და მეტად ჩაერთოს სასწავლო პროცესებში, იყოს არაფორმალურად ამ ლექტორის ასისტენტიც კი და შესაბამისად, ხელი შეუწყოს იმას, რომ სემინარზე სწავლა მიმდინარეობდეს მათი აქტიური მონაწილეობით. რაც შეეხებოდა იმ საკითხს, თუ რატომ არ ზღუდავდა დაწესებულება სხვა სფეროებიდან სტუდენტთა მიღებას, დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ საერთაშორისო ურთიერთობების დარგი თავისი შინაარსით არის ინტერ დისციპლინური, ის მდიდრდება სხვადასხვა პროფესიებიდან, ამ დარგებიდან მოსული ხალხი უფრო ამდიდრებს დარგს, ვიდრე ის ხალხი, რომელიც „საკუთარ წვენში იხარშება“. ამიტომ, ხშირად სწორედ ეს ხალი ქმნის ისეთ

ნაშრომებს, რომელთაც დიდხანს ასწავლიან ხოლმე. ფინანსებთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მათი ბიუჯეტი დგება ყოველწლიურად, მაგრამ ბიუჯეტის ერთეული, მიუხედავად იმისა რას ითხოვდა აკრედიტაციის საბჭო, თუ განათლების კანონი, იყო ერთეული - სკოლა. დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, მათ სკოლა შედგებოდა ოთხი სხვადასხვა პროგრამისგან. საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულებები, როგორც ბაკალავრიატის, ასევე სამაგისტრო მიმართულებები. ამიტომ, ჯამში შესაძლებელია გარკვეული დისბალანსის დაბალანსება, თუ კი ასეთი ხდება, ხოლო შემდეგ წელს ხდება ამის კომპენსირება. ამის გარდა, დაწესებულების ფინანსური სამსახურიდან დეტალურ ბიუჯეტზე რომ ჰქონოდათ დაშვება, საბჭოს წევრები ნახავდნენ, რომ ბევრი ისეთი ხარჯი იყო, რომლის ამოღებაც შესაძლებელი იყო. აქედან გამომდინარე, ვინაიდან იყო ისეთი საბიუჯეტო ერთეულები, რომლის გადატანაც შემდეგ წელს შესაძლებელი იყო, აბალანსებდა ბიუჯეტს. ის ფაქტი, რომ ბიუჯეტის 99% გაწერილი იყო, ეს მიუთითებდა იმაზე, რომ ეს იყო ა.ა.ი.პ-ი და არ იყო მოგებაზე ორიენტირებული ორგანიზაცია, სადაც დივიდენდებიც უნდა დარიგდეს. ამიტომ ეს თვითონ ორგანიზაციის სტრუქტურიდან გამომდინარეობდა.

დაწესებულების წარმომადგენელმა, თორნიკე შარაშენიძემ ასევე უპასუხა საბჭოს წევრთა შეკითხვებს და აღნიშნა, რომ „მენქიუს“ გარდა, მათ ასევე ჰქონდათ „ბერნანკი“ და ასევე „ფიშერი“ ძირითად ლიტერატურად. რაც შეეხებოდა მათემატიკოსების მიღებასთან დაკავშირებულ კითხვას, დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ პირველი განათლებით თავად მათემატიკოსი იყო.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ივანა მაჩიტიძემ სწავლის შედეგებთან დაკავშირებით დასმულ შეკითხვას უპასუხა და აღნიშნა, რომ „ბოლდინგის“ ნაწილში იყო უფრო გაშლილი და უფრო ხსნიდნენ, თუ რას გულისხმობდა დაწესებულება იმ ნუმერაციით გაწერილ შედეგებში. შინაარსობრივად ისინი ერთმანეთს ფარავდნენ, თუმცა სადაც ნუმერაცია იყო, იქ შედარებით მოკლედ იყო წარმოდგენილი, ხოლო გრძელ ტექსტში ეს იყო უფრო ახსნილი. რუბრიკა, რომელიც მიზნების და შედეგების თანხვედრას აჩვენებდა, იქ რა თქმა უნდ აიყო მიზნები, რომელიც ასევე ნუმერაციით იყო და ნუმერაციით წარმოდგენილი შედეგები იყო უფრო მოკლე სახით.

საბჭოს წევრმა, ეკატერინე ნაცვლიშვილმა დააზუსტა და აღნიშნა, რომ დაწესებულების წარმომადგენლის განმარტება ფორმალურად გასაგები იყო, მაგრამ რა განსხვავება იყო მიზნებსა და სწავლის შედეგებს შორის, რადგან ზუსტად იდენტური ფორმულირება იყო თავისი არსით, არა და მიზანი და პროგრამის სწავლის შედეგი განსხვავდებოდა ერთმანეთისგან, როდესაც პროგრამაზე იყო საუბარი. საბჭოს წევრმა ასევე აღნიშნა, რომ ისე იყო პროგრამის სწავლის შედეგები ფორმულირებული, რომ სიტყვას - საერთაშორისო ურთიერთობები, შუაში რომ ჩაუსვა საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები, ან საერთაშორისო პოლიტიკური ურთიერთობები, ან საერთაშორისო სამართლებრივი ურთიერთობები არაფერი არ შეიცვლება. სად ჩანდა დაწესებულების პროგრამის „ოქრო“, მისი „კონტენტი“. ეს არ ჩანდა სწავლის შედეგებში, არა და იყო საინტერესო პროგრამა და იმდენად ზოგადად იყო გაწერილი, აღწერილი იყო ტრანსფერული უნარები და არა დარგობრივი უნარები, რომელიც პროგრამის შინაარსიდან გამომდინარე, ძალიან ლამაზად შეიძლებოდა გაწერილიყო. საბჭოს წევრის აზრით, პროგრამის შინაარსი უფრო საინტერესო იყო, ვიდრე სწავლის შედეგებში იყო ეს ფორმულირებული.

ექსპერტთა ჯგუფის წევრმა, ივანნა მაჩიტიძემ აღნიშნა, რომ ალბათ შესაძლებელი იყო სწავლის შედეგები უფრო კონკრეტულიც ყოფილიყო, უფრო ლამაზადაც დაწერილიყო, მთავარი იყო, რომ შინაარსობრივად ის იყო, რასაც პროგრამა წარმოადგენდა მთლიანობაში.

დაწესებულების წარმომადგენელმა, თორნიკე შარაშენიძემ აღნიშნა, რომ მსგავსი რამის გაუმჯობესება ყოველთვის შეიძლება, მაგრამ მისი მოსაზრებით, რაც მათ აქვთ და ჩანს ერთ-ერთი კვინტესენცია მათი პროგრამისა არის საერთაშორისო ურთიერთობის თეორიის და

პრაქტიკის ღრმა და სისტემური ცოდნა. პრაქტიკაში იგულისხმება, როგორც მოლაპარაკების საკითხები, ასევე საერთაშორისო ურთიერთობის, დიპლომატიის ისტორიის კარგად ცოდნა. ეს იყო ერთ-ერთი, რაც გამოარჩევდა მათ პროგრამას სხვათაგან.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 19:30
დასრულების დრო: 20:25

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

აკრედიტაციის საბჭომ გაიზიარა ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაციები, კერძოდ საბჭომ ცალკეულ კომპონენტებში დაამატა ან/და ამოიღო რეკომენდაციები და რჩევები, თუმცა, ამით შეფასება არ შეცვლილა.
საბჭომ რეკომენდაციები და რჩევები ჩამოაყალიბა შემდეგნაირად:
რეკომენდაციები
1. რეკომენდირებულია პროგრამის სწავლის შედეგის გადახედვა და დაზუსტება (მათ შორის, მეტი აქცენტის გაკეთება პოლიტიკის მიმართულებას, უსაფრთხოებასა და რეგიონალურ პოლიტიკურ სისტემებზე);
2. რეკომენდირებულია, პროგრამის მიღების წინაპირობად განისაზღვროს (ზეპირი ან/და წერითი საგამოცდო ფორმატით ჩატარებული) ინგლისურ ენაში B2 დონის მოთხოვნა ან ჩატარდეს ინგლისური ენის ფლობის დონის დასადგენი ტესტი;
3. რეკომენდირებულია, პროგრამის მიღების წინაპირობის გამოცდის/გასაუბრების ფორმატი იყოს გამჭვირვალე, პროცედურისა და შეფასების მკაფიო კრიტერიუმებისა და რუბრიკის მითითებით;
4. რეკომენდირებულია, რიგ სასწავლო კურსებში არსებული სავალდებულო ლიტერატურა შეესაბამებოდეს სწავლების საფეხური;
5. რეკომენდირებულია პროგრამაში გაძლიერდეს რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის მეთოდების სწავლება;
6. რეკომენდებულია დაცულ სამაგისტრო ნაშრომებში გამოყენებული აკადემიური ლიტერატურის მითითებისა და ნაშრომის გაფორმების წესი სრულად შეესაბამებოდეს დაწესებულების მიერ შერჩეულ სტანდარტებს;
7.რეკომენდებულია, ყველა დაცულ სამაგისტრო ნაშრომში კვლევის დიზაინისთვის აუცილებელი კომპონენტებისა და მათი თანმიმდევრულობის არსებობა (მათ შორის კვლევის მიზნები, ამოცანები, კვლევის კითხვები, ჰიპოთეზები, კვლევის მეთოდები და სხვა) იყოს უზრუნველყოფილი;
8.რეკომენდებულია, რიგ სასწავლო კურსებში გუნდური მუშაობის ელემენტის ჩართულობის გაძლიერება კურსის შინაარსისა და სპეციფიკის გათვალისწინებით;
9. რეკომენდებულია, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვარი №3 ბრძანების მე-4 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, შემდეგი სასწავლო კურსების: თავდაცვის ეკონომიკა; ევროკავშირის სამართალი; კავკასია XIX-XX; ოკუპაციის, კონფლიქტებისა და საზოგადოებრივი განვითარების ისტორია; საერთაშორისო ურთიერთობების თეორია; საერთაშორისო სამართალი; საერთაშორისო სახელშეკრულებო სამართალი; საერთაშორისო საინვესტიციო სამართალი; ტერორიზმი და უსაფრთხოება; შედარებითი პოლიტიკა - სილაბუსებში დასკვნითი გამოცდების შეფასების მეთოდები იყოს დაკონკრეტებული შესაბამისი შეფასების კრიტერიუმებითა და რუბრიკით;

10. რეკომენდებულია, აკადემიური პერსონალის დატვირთვის სქემაში აისახოს ინფორმაცია კვლევით-სამეცნიერო ღონისძიებებში ჩართულობის შესახებ;
11. რეკომენდებულია პროგრამის თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანისა და საუკეთესო საერთაშორისო და ადგილობრივი პრაქტიკის გამოყენების მიზნით, პერიოდულად ხდებოდეს პროგრამის დადარება უცხოური და ადგილობრივი უნივერსიტეტების ანალოგიურ პროგრამებთან და აღნიშნული პროცესი იყოს ფორმალიზებული

რჩევები

- სასურველია, დაზუსტდეს ბაზრის კვლევის ფოკუს-ჯგუფისთვის შერჩეული ორგანიზაციები, რათა თავიდან იყოს აცილებული ცდომილება (bias) კვლევის შედეგების ანალიზისა და პროგრამის პრიორიტეტების დადგენისას;
- სასურველია აკადემიური წერის საკითხების გაძლიერება სასწავლო პროგრამაში.
- სასურველია პლაგიატის პროგრამის აქტიური გამოყენება ყოველი კურსის მიმდინარეობეისას, რათა პლაგიატზე შემოწმდეს ნებისმიერი კურსის ფარგლებში შესრულებული წერითი დავალება (ესსე, რეფერატი და სხვა), რაც, სტუდენტს გაუძლიერებს პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის კომპონენტს;
- სასურველია, სტუდენტებს სასწავლო კურსების არჩევის შესაძლებლობა ჰქონდეთ ელექტრონული ბაზის მეშვეობით დამოუკიდებლად;
- სასურველია, სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელებმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ თავიანთი მაგისტრანტების ნაშრომის სტრუქტურას, განსაკუთრებით კვლევის დიზაინისა და კომპონენტების თვალსაზრისით;
- სასურველია, მოწესრიგდეს პროგრამაში ჩართული აკადემიური, მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალის დოკუმენტაცია;
- ასურველია, პროგრამის მდგრადობის მეტი თვალსაჩინოებისთვის წარმოდგენილ იქნას პროგრამული ბიუჯეტი;
- სასურველია, აკადემიური და მოწვეული პერსონალი უფრო მეტად იყოს ჩართული პროგრამის ხარისხის შეფასებისა და განვითარების პროცესში;
- სასურველია, სტუდენტი იყოს გრძელვადიანი სტატუსით წარმოდგენილი თვითშეფასების ჯგუფში;
- ასურველია, პროგრამის ფარგლებში გამოყენებულ იქნას თანამშრომლობა და კონტაქტები როგორც ადგილობრივი, ისე საერთაშორისო, განმავითარებელი კოლეგიალური შეფასების მიზნით;

გადაწყვეტილება:
უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-3^1 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3^1 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხ ლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული

კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, ა(ა)იპ - ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივი საქმეთა ინსტიტუტის “საერთაშორისო ურთიერთობების” სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით, 1 წელიწადში ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

დღის წესრიგით განსაზღვრული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა 2021 წლის 14 სექტემბერს 20:27 საათზე.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
თავმჯდომარე
ზედგინიძე-ჯიშკარიანი ნათია

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
საბჭოს მდივანი
შენგელია მარიამ